# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 12 მარტი 1996 № 19 (244) ფასი 40 თეთრი


# ოთხი ქართველი პრემიერლიგაში?



## ფრენსის ლიმ შოთა არველაძეს ჩააკითხა, «ლიდსი» კი ცხადაძეს ირჩევს



ქინქლაძის შემყურე ინგლისელებმა ქართულ ფეხბურთს მუშტრის თვალი დაადგეს. „მანჩესტერ სიტიმ" ყაველაშვილი არ იკმარა და გიის რჩევით შოთა არველაძითაც დაინტერესდა.

გუშინ ისიც შევიტყვეთ, რომ ინგლისში ჩვენი ნაკრების კაპიტანი ცხადაძეც ჩასულა და თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, დღეს „ლიდსთან" კონტრაქტს გააფორმებს.



## ყაველაშვილს მანჩესტერში გოლები გააქვს. ჯერ მხოლოდ ვარჯიშზე

ფრენსის ლი მალე ალბათ „სულიკოს" იმღერებს. ორი „სულიკო" — ქინქი და ყაველა უკვე გუნდში ჰყავს და ახლა, ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, მესამე „სულიკოს" საძებრად ცხრა მთას იქით გადახვეწილა. აბა რაღა მიხვედრა უნდა, რომ მესამე „სულიკო" — შოთა არველაძეა.

ყაველა კი თბილისშია, „სიტისთან" კონტრაქტზე მართლა მოუწერია ხელი, ოღონდ არა ექვსთვიანზე, არამედ სამწლიანზე. ახლა, ინგლისის შრომის დეპარტამენტის ყბადაღებული დასტურის მოლოდინში, ყოველდღე დილმის ბაზაზე ვარჯიშობს...

— მანჩესტერის აეროპორტში თვალებს აქეთ-იქეთ ვაცეცებდი, ვიღაც კაცი დავინახე და მივუახლოვდი. ინგლისური არ ვიცი და დიდი გაჭირვებით მივახვედრე, რაც მინდოდა. მაიკლი შენა ხარო, მკითხა. თავი დავუქნიე. წამიყვანა თავის მანქანისკენ, იქ კი გიო იდგა და მიღიმოდა... ის კაცი კი ფრენსის ლი ყოფილა...

**— კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერე?**

— „არსენალთან" თამაშის დღეს, 6 მარტს დილით მოვაწერე ხელი სამწლიან კონტრაქტს. ჩემი ყველა საბუთი ახლა შრომის დეპარტამენტშია და, როგორც წესი, კონტრაქტზე ხელის მოწერიდან ორი კვირის შემდეგ პასუხს მეტყვიან. ლი მაიმედებს, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

**— ჩვენ კი ისე ვიცოდით, „ალანია" ყაველას არ უშვებს და ინგლისში მხოლოდ გასასინჯად გაგზავნაო...**

— რის გასინჯვა! ჩასვლიდან მეორე დღესვე მოვაწერე ხელი კონტრაქტს. რაც შეეხება ვლადიკავკაზს, არავითარი პრობლემა იმათგან არ შემექმნება.

**— როდის და როგორ დაგიკავშირდნენ „სიტიდან"?**

— ესპანეთში ვიყავით შეკრებაზე, „სალამანკასთან" სათამაშოდ ვემზადებოდით. მიბარებს ვალერი გაზაევი და ღიმილით მეუბნება: შენი მეგობრის გუნდში არ წახვალო? რომელი მეგობარი-მეთქი? — შენს პასუხს საღამოს ველიო — მითხრა. მივხვდი, „სიტიზე" იყო საუბარი. თავიდან უარზე ვიყავი, მერე დავფიქრდი და დავთანხმდი. ის მატჩი „სალამანკასთან" არ მითამაშია. გიოს გადავურეკე. სასწრაფოდ ჩამოდიო — მითხრა. სამოსი იქ არ მქონდა, სპორტულებში ვიყავი. უცებ შევიძინე კოსტუმი. მე და ჩვენი აგენტი ფერნანდო, თავის დროზე „დინამოს" ესპანური ტურნე რომ გაუხერხა, მადრიდს ჩავფრინდით. ფერნანდომ ვიზა სწრაფად გამიკეთა. მანჩესტერის აეროპორტზე უკვე მოგიყევი. ჩემთვის რეკომენდაცია, როგორც გავიგე, მერაბ ჟორდანიას მიუცია ლისთვის, ქინქლაძესაც ძალიან ვუქივარ. აეროპორტიდან გიომ შინ გამაქანა, ხათუნა დეიდამ გვასადილა. მერე ლიმ მითხრა, უელსთან მატჩში დაგიმახსოვრეო. იქ ნათამაშებ მატჩს გულისხმობდა.

**— ახლა ქინქლაძეზე გვითხარი...**

— ასეთი არაფერი მინახავს, ვერც სიტყვებით გადმოგცემ, ეს თვად უნდა ნახო. მანჩესტერი კი არა, მთელი ინგლისი გადარეულია, არის ერთი: ქინქი! ქინქი! და რეი ჩარლზის: „ჯორჯია"! ტელევიზიაში ლამის სულ გიოზე გადაცემები, ათასჯერ უჩვენებენ მომენტებს, როცა აქეთ-იქით აწვენს მცველებს, ანაც ბურთიანად ცეკვავს. ინგლისში სერიოზულად ფიქრობენ, რომ გიო ქინქლაძე არათუ ინგლისში, მთელ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია...

**— სიტელებთან თუ ივარჯიშე?**

— რა თქმა უნდა. ლიმ შემომთავაზა, ხომ არ ივარჯიშებო. მეც სხვა რა მინდოდა? ჟურნალისტები უმალ იქ გაჩნდნენ. მე, აბა, რას ვეტყოდი, ინგლისური არ ვიცი, გიო უხსნიდა. „ბლექბერნთან" მატჩის წინა დღე იყო, მსუბუქად ვივარჯიშეთ, ურთიერთშიც ვითამაშეთ, რამდენიმე გოლიც შევაგდე.

**— ლისთან საფუძვლიანი საუბარი ხომ არ გქონია სამომავლო გეგმებზე?**

— როგორ არა. მე და ბოლს გვინდა, „სიტი" საგრძნობლად გავაძლიეროთ, აქცენტს ქართველებზე გავაკეთებთო. 9 მარტს შოთას თამაშის სანახავად უნდა ჩასულიყო თურქეთში — მისი წამოყვანაც უნდა. მოკლედ, მე და შოთა არველაძე უნდივართ თავდასხმაში.

**— ინგლისში ყოფნის, ვარჯიშისა და რამდენიმე მატჩის ნახვის შემდეგ რას იტყვი ინგლისურ ფეხბურთზე?**

— სისწრაფე, სისწრაფე და სისწრაფე! ყველა იმის ცდაშია, ყველაფერი სწრაფად შეასრულოს მოედანზე. ერთადერთი გუნდი, რომელიც განსხვავებულ, არაინგლისურ ფეხბურთს თამაშობს, „ლივერპულია". რვა წუთში „ასტონ ვილას" 3:0-ს უგებდა. „ლივერპული" იმითაც ერთადერთი გუნდია ინგლისში, რომ მისი მცველები პირველივე შეხებით კი არ იგერიებენ ბურთს, არამედ პასს აწვდიან. მოკლედ, „ლივერპული" ყველას სჯობს და ნაღდი საჩემპიონო გუნდია. გიო კი ცოდვაა „მანჩესტერში", მარტო თამაშობს.

**— 12 მარტს თუ ითამაშებ „ალანიას" შემადგენლობაში?**

— გაზაევმა მთხოვა, ითამაშეო, მაგრამ ალბათ არ ვითამაშებ. გაზაევი მეხუმრება: ჯერ ჩვენი ხარ იცოდე და თუ არ ითამაშებ, არ გაგიშვებო...

**— ესე იგი, ვლადიკავკაზელები არ განაწყენებულან...**

— არა, პირიქით, ძალზე კმაყოფილებიც კი არიან.

**— საკონტრაქტო თანხა მართლა 1,5 მილიონი გირვანქაა?**

— არ ვიცი, ჩვენთან წესი არ არის ფულზე ლაპარაკი. ფეხბურთელს ამას არავინ ეკითხება.

**— ინგლისური რომ არ იცი?**

— ძალიან ვწუხვარ ამაზე, მაგრამ არა უშავს, ჩემმა მეუღლემ, თამუნამ იცის ჩინებულად, მერე მეცვისწავლი...

**— ვიზა ალბათ ოცი მარტისთვის მოგეცემა, ასე რომ ინგლისის ჩემპიონატში ძალზე ცოტა თამაშები დაგრჩება...**

— მაგას მეც ვდარდობ. ფაქტიურად, ხუთი-ექვსი მატჩი გამომივა, არადა, სწორედ ამდენი თამაში მჭირდება, ახალ გუნდს რომ შევეწყო, ამასობაში კი ჩემპიონატიც დამთავრდება. მაგრამ, არა უშავს, როგორც ლიმ მითხრა, ყველაფერი მომდევნო სეზონისთვის და მომავლისთვის კეთდება.

... მე კი დავიჭირე ყაველა და 20 მარტის მერე „სიტის" მეტოქეთა მცველებმა იკითხონ...

მამუკა კვარაცხელია

# თავისუფლება ჩელებაძეს!

## მოითხოვს მურთაზ ხურცილავა

11 მარტს იმელის შენობაში გამართულ სპორტის საპარლამენტო ქვეკომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ფეხბურთის სპეციალისტები და ფეხბურთთან ახლოს მდგომი ხალხი იწვიეს. შეკრების თოსანთა სამწუხაროდ, სხდომას არ დაესწრო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მანუჩარ მაჩაიძემ შეკრებილთ აუწყა, რომ: „ჩვენ დავუკავშირდით ახალკაცს, მაგრამ მან უკმეხად უარყო თხოვნა, დასწრებოდა სხდომას, სადაც ქართული ფეხბურთის ავ-კარგზე უნდა ვიმსჯელოთ".

მეცნიერების, განათლებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან მიმინოშვილის თქმით, სხდომის მიზანი ფეხბურთის ფედერაციასა და კანონმდებლებს შორის პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებაა: „ჩვენ არავისზე ვაპირებთ დიქტატს, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ არცერთი ფედერაცია არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი, ასე ვთქვათ, ფიფას დესანტი. ნებისმიერი ფედერაცია, უპირველესად, საქართველოს კანონებს ემორჩილება და თუ ფეხბურთის ფედერაციას საქმის უკეთ კეთებას ვთხოვთ, ეს მათ ნუ ეწყინებათ. ბოლოს და ბოლოს, ახლა იქმნება ყველანაირი კანონები, მათ შორის სპორტისაც და თუ ჩვენ ვითანამშრომლებთ, მათი მოსაზრებებიც იქნება გათვალისწინებული".

კახი ასათიანი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე: „ფაქტია, რომ საქმე კარგად არ არის. ტრიბუნები ცარიელია. საჭიროა, ფეხბურთს სახელმწიფო დონეზე დავეხმაროთ, თორემ ყველა ნიჭიერ მოთამაშეს უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. აქაც გარკვეული შეზღუდვებაა საჭირო, თორემ ორ-სამ წელიწადში საქართველოში არავინ დარჩება.

...ფეხბურთის ფედერაციას, ისევე, როგორც ნებისმიერ ფედერაციას, დახმარება სჭირდება, თორემ, ხედავთ, რა დღეში ჩავარდნენ ჩვენი ნაკრებები? პირველმა ნაკრებმა თუ ითამაშა ასე თუ ისე. მეც კარგად ვიცი, რა ბინძურად ჩატარდა ფედერაციის ორივე ყრილობა, მაგრამ ახლა ამის გახსენებას თანამშრომლობა სჯობს.

...საქართველოს ჩემპიონატისთვის 16 გუნდი ბევრია. დიდი-დიდი, 12 შეიძლება დავუშვათ".

მურთაზ ხურცილავა: „ფეხბურთის დონის ასამაღლებლად, ჩემი აზრით, საჭიროა: შევარდნაძემ დაავალოს რაიონის ხელმძღვანელებს მიხედონ გუნდებს; გუნდების რაოდენობის შემცირება პირველ ჯგუფში; მსაჯობის საკითხის მოგვარება; მწვრთნელთა ატესტაცია და გუნდებთან მუშაობის გაუმჯობესება; ნაკრების წევრებს ავუკრძალოთ დაბალპრესტიჟულ ლიგებში და ქვეყნებში წასვლა".

მურთაზ ხურცილავა შეეხო კიდევ ერთ საკითხს, რომელიც, მისი თქმით, აუცილებლად, უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს: „ჩვენი სირცხვილია, რომ რეზო ჩელებაძე დღეს დაჭერილია, იქნებ, გალაზოვის ჩამოსვლისას ეს ამბავიც მოვაგვაროთ".

რეზო ძოძუაშვილი ფიქრობს, რომ საქართველოში ნებისმიერ დროს შეიძლება დიდი გუნდის შექმნა: „საამისოდ ფეხბურთს უნდა ჩამოშორდნენ მიტმასნილები, ისინი, ვინც მხოლოდ გამორჩენაზე ფიქრობენ. „ალანია" რუსეთის ჩემპიონი ქართველებით გახდა. ეს ბევრს ნიშნავს. არადა, მათ დატოვებაზე აქ არავის უზრუნია. ჩვენთან ყველას ენანება ფეხბურთისთვის უანგაროდ კაპიკების გადაგდება. ისიც არ იციან, თუ რამხელა მოგების ნახვა შეუძლიათ. სიმღერა რომ არის — იყიდება საქართველო, იმის მოსმენისას, იცით, რამდენი ფეხბურთს მიტმასნილი წარმოიდგება თვალწინ? მწვრთნელების გასაზრდელადაც არაფერი კეთდება. მოკლედ, გვეყოფა თავის მოტყუება".

ქართული ფეხბურთის სატკივარზე მსჯელობა დიდხანს გაგრძელდა. ითქვა, რომ ეს სხდომა სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ფეხბურთს. ერთ-ერთმა დამსწრემ კერძო საუბრისას გვითხრა, შეკრების მიზანი ის იყო, რომ თუ ფეხბურთში ვინმე მამაძაღლობს, იქნებ ამის შემდეგ ცოტათი შეშინდეს და საქმე უკეთ გააკეთოსო. მაგრამ ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელთა გარეშე, ბუნებრივია, ვერ გაიმართა იმისთანა სჯა-ბაასი, როგორიც, ბევრი დამსწრის აზრით, საჭირო და აუცილებელი იყო.

მერაბ მამულაშვილი

## საქართველოს თასი

10 მარტს გაიმართა საპასუხო შეხვედრები:

ბათუმი — შსს აკადემია 4:0
სამტრედია — ტორპედო 2:0
მარგვეთი — კოლხეთი 1:0

ნახევარფინალში გავიდნენ თბილისის „დინამო", „ბათუმი", „სამტრედია" და „მარგვეთი". წილისყრა უახლოეს დღეებში მოეწყობა.

# საქართველოს VII ჩემპიონატი
## მეორე წრის განრიგი

**XVI ტური**
14 მარტი, ხუთშაბათი
გურია – ბათუმი
კახეთი – ზუგდიდი
იბერია – ტორპედო
შევარდენი – მეტალურგი
მარგვეთი – დილა
დურუჯი – კოლხეთი
ეგრისი – დინამო
სიონი – სამტრედია

**XVII ტური**
18 მარტი, ორშაბათი
ბათუმი – დურუჯი
მარგვეთი – ეგრისი
დილა – შევარდენი
მეტალურგი – იბერია
ტორპედო – კახეთი
ზუგდიდი – გურია
კოლხეთი – სიონი
სამტრედია – დინამო

**XVIII ტური**
22 მარტი, პარასკევი
ეგრისი – სამტრედია
დინამო – კოლხეთი
სიონი – ბათუმი
დურუჯი – ზუგდიდი
გურია – ტორპედო
კახეთი – მეტალურგი
იბერია – დილა
შევარდენი – მარგვეთი

**XIX ტური**
31 მარტი, კვირა
შევარდენი – ეგრისი
მარგვეთი – იბერია
დილა – კახეთი
მეტალურგი – გურია
ტორპედო – დურუჯი
ზუგდიდი – სიონი
ბათუმი – დინამო
კოლხეთი – სამტრედია

**XX ტური**
4 აპრილი, ხუთშაბათი
ეგრისი – კოლხეთი
სამტრედია – ბათუმი
დინამო – ზუგდიდი
სიონი – ტორპედო
დურუჯი – მეტალურგი
გურია – დილა
კახეთი – მარგვეთი
იბერია – შევარდენი

**XXI ტური**
8 აპრილი, ორშაბათი
იბერია – ეგრისი
შევარდენი – კახეთი
მარგვეთი – გურია
დილა – დურუჯი
მეტალურგი – სიონი
ტორპედო – დინამო
ზუგდიდი – სამტრედია
ბათუმი – კოლხეთი

**XXII ტური**
12 აპრილი, პარასკევი
სამტრედია – ტორპედო
დინამო – მეტალურგი
სიონი – დილა
დურუჯი – მარგვეთი
გურია – შევარდენი
კახეთი - იბერია
ეგრისი – ბათუმი
კოლხეთი – ზუგდიდი

**XXIII ტური**
19 აპრილი, პარასკევი
კახეთი – ეგრისი
იბერია – გურია
შევარდენი – დურუჯი
დილა – დინამო
მეტალურგი – სამტრედია
ტორპედო – კოლხეთი
მარგვეთი – სიონი
ზუგდიდი – ბათუმი

**XXIV ტური**
28 აპრილი, კვირა
ეგრისი – ზუგდიდი
ბათუმი – ტორპედო
კოლხეთი – მეტალურგი
სამტრედია – დილა
დინამო – მარგვეთი
სიონი – შევარდენი
გურია – კახეთი
დურუჯი – იბერია

**XXV ტური**
1 მაისი, ოთხშაბათი
გურია – ეგრისი
კახეთი – დურუჯი
იბერია – სიონი
შევარდენი – დინამო
მარგვეთი – სამტრედია
დილა – კოლხეთი
მეტალურგი – ბათუმი
ტორპედო – ზუგდიდი

**XXVI ტური**
5 მაისი, კვირა
ეგრისი – ტორპედო
ზუგდიდი – მეტალურგი
კოლხეთი – მარგვეთი
სამტრედია – შევარდენი
დინამო – იბერია
სიონი – კახეთი
დურუჯი – გურია
ბათუმი – დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**XXVII ტური**
13 მაისი, ორშაბათი
დურუჯი – ეგრისი
გურია – სიონი
კახეთი – დინამო
იბერია – სამტრედია
შევარდენი – კოლხეთი
მეტალურგი – ტორპედო
მარგვეთი – ბათუმი
დილა – ზუგდიდი

**XXVIII ტური**
17 მაისი, პარასკევი
ეგრისი – მეტალურგი
ტორპედო – დილა
ზუგდიდი – მარგვეთი
ბათუმი – შევარდენი
კოლხეთი – იბერია
სამტრედია – კახეთი
დინამო – გურია
სიონი – დურუჯი

**XXIX ტური**
21 მაისი, სამშაბათი
სიონი – ეგრისი
დურუჯი – დინამო
გურია – სამტრედია
იბერია – ბათუმი
შევარდენი – ზუგდიდი
მარგვეთი – ტორპედო
დილა – მეტალურგი
კახეთი – კოლხეთი

**XXX ტური**
31 მაისი, პარასკევი
ეგრისი – დილა
მეტალურგი – მარგვეთი
ტორპედო – შევარდენი
ზუგდიდი – იბერია
ბათუმი – კახეთი
კოლხეთი – გურია
სამტრედია – დურუჯი
დინამო – სიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 11 | 3 | 1 | 47-8 | 36 |
| სამტრედია | 15 | 11 | 3 | 1 | 54-20 | 36 |
| მარგვეთი | 15 | 11 | 0 | 4 | 44-15 | 33 |
| კოლხეთი | 15 | 10 | 2 | 3 | 38-22 | 32 |
| ბათუმი | 15 | 9 | 4 | 2 | 32-14 | 31 |
| მეტალურგი | 15 | 10 | 0 | 5 | 33-19 | 30 |
| ტორპედო | 15 | 9 | 3 | 3 | 37-21 | 30 |
| დილა | 15 | 8 | 2 | 5 | 27-24 | 26 |
| შევარდენი | 15 | 6 | 1 | 8 | 24-29 | 19 |
| კახეთი | 15 | 4 | 3 | 8 | 14-31 | 15 |
| ეგრისი | 15 | 4 | 2 | 9 | 26-34 | 14 |
| ივერია | 15 | 4 | 1 | 10 | 14-30 | 13 |
| ზუგდიდი | 15 | 4 | 1 | 10 | 24-42 | 13 |
| სიონი | 15 | 4 | 0 | 11 | 15-31 | 12 |
| გურია | 15 | 2 | 0 | 13 | 12-45 | 6 |
| დურუჯი | 15 | 0 | 1 | 14 | 4-60 | 1 |

# იწყება, მაგრამ როგორ გაგრძელდება?

ზამთარში დათვივით ძიძინებული გულშემატკივარი ილვიძებს, თანაც ხელებს სიამოვნებით იფშვნეტს — წინ საფეხბურთო სეზონი ელის... გულშემატკივარი კი იფშვნეტს ხელს, მაგრამ, აბა, გუნდების უმრავლესობას კითხოთ, გასახარად თუ აქვთ საქმე. პირველი დივიზიონის თექვსმეტი გუნდიდან არანაკლებ რვას დაშლის საფრთხე ემუქრება და ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მათში ისეთი გუნდებიც გამოერივნენ, საკუთარ საფეხბურთო სკოლაზე და ტრადიციებზე რომ არიან დაფუძნებულ-აღმოცენებულნი. ფოთის „კოლხეთით" დავიწყოთ. ეს გუნდი მუდამ იდგა ქართული ეროვნული ფეხბურთის ავანგარდში, მუდამ სამეულისთვის იბრძოდა, ერთი სეზონის გარდა სულ მკვიდრი ფეხბურთელებით გაჰქონდა თავი, მაგრამ ახლა ცუდად წაუვიდა საქმე — კლუბის ხელმძღვანელობისა და მთავარი მწვრთნელის კონფლიქტს ამ უკანასკნელის — სოსო ფილიას წასვლა მოჰყვა (როგორც ამბობენ, კლუბი ვიცე-პრეზიდენტ გივი ხომერიკსაც დაუტოვებია). გუნდს, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ შეიკრება, მეორე მწვრთნელი იური გვაზავა ავარჯიშებს. „მოკლედ, მეორე წრეში „კოლხეთი" ველარ იქნება ის ძალა, ევროთასებზე რომ იოცნებოს, არადა, პირველი წრის შემდეგ სულ ოთხი ქულით ჩამორჩებოდა „დინამოს" და მეოთხე ადგილზე იყო. ფოთელთა სავარაუდო ფიასკო იმიტომაა საწყენი, რომ, როგორც უკვე გაცნობეთ, თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაფერისი სტადიონის აშენება განუზრახავთ. ესეც ევროთასებისთვის კეთდება, მაგრამ... და მაინც, გვჯერა, რომ „კოლხეთი" არასდროს დაიშლება, სანამ მისი პრეზიდენტი ვალერი გეგიძე იქნება. ამ კაცს ფეხბურთი ძალიან უყვარს და გუნდის დაშლას არ დაუშვებს, მაგრამ ზემოხსენებული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო „კოლხეთი" ალბათ ველარ გააგრძელებს ბრძოლას მედლებისთვის. ღმერთმა ქნას ვცდებოდე...

ქუთაისის „ტორპედოს" ანეკდოტური მდგომარეობა ყველას მოეხსენება. რეზო ბურკაძე რომ არ მუშაობდეს, დიდი ხანია, „ტორპედო" აღარ იარსებებდა, და თუ იარსებებდა, მხოლოდ ქვედა დივიზიონში და იქაც მაჩანჩალად. არადა, „ტორპედომ" ჩემპიონატი ზედიზედ ხუთი მოგებით დაიწყო, თანაც გოლი არ ჰქონდა გაშვებული. ამაზე მეტი რაღა გინდათ, ვფიქრობ, იტყოდა ზაალ ბარათაშვილი, მაგრამ მაინც არ მოიბრუნა გული ქუთაისმა „ტორპედოსკენ" ისე, როგორც ეს გუნდი და მისი ფანატიკი მწვრთნელი იმსახურებდნენ. ბოლოსდაბოლოს კი, ყოველივე ამას რაც მოჰყვა, „სარბიელის" მკითხველს კარგად ეხსომება. თითქმის სიმბოლურიცაა, რომ სულ ახლახან გარდაიცვალა კარლო ხურციძე, კაცი, ვინც აღზარდა რამაზ შენგელია, თამაზ კოსტავა, თენგიზ სულაქველიძე და სხვა მრავალი ოსტატი. მოკლედ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, ბურკაძეზეა ნათქვამი. სადამდე ეყოფა ამ კაცს ენთუზიაზმი, ვერ გეტყვით. მაგრამ ლოგიკური კი იქნება, რომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ „ტორპედო" პირველ წრეში დაკავებულ მეშვიდე ადგილს ვერ გასცდეს.

გორის „დილა" პირველ წრეში მერვე ადგილზე გავიდა. სულ რამდენიმე წელიწადში, თუ ქართული გუნდები ევროთასებზე შარშანდელივით არ შეირცხვენენ თავს, და „ინტერტოტოს" არეალის „გაფართოებაში მოვყევით", შესაძლოა, პირველ წრეში მერვე ადგილი ევროთასებზე გასვლის ფორპოსტად იქცეს. ეს რამდენიმე წლის შემდეგ. ახლა კი ისეა საქმე, პირველ წრის მერვე ადგილი ჯგუფში ადგილს შენარჩუნებისა და მედლებისათვის ბრძოლაში ვერჩაბმის გარანტიაა. „დილას" არც ერთი ერთი ემუქრება და არც მეორე. მესამე ემუქრება — გუნდის დაშლა! ამაზე იმდენი ვწერეთ „სარბიელში", ახლის თქმა უაზროდ მიმაჩნია. თუნდაც ამ ნომერშივე დაბეჭდილი საქართველოს თასის მეოთხედფინალის მატჩის მიმოხილვა გადაიკითხეთ და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ თუ სასწაული არ მოხდა, „დილა" მალე დაიშლება.

„შავ სიაში" მომდევნო სენაკის „ეგრისია". ამათაც არ გაუვლიათ სეზონისწინა მზადება, ისევ გაჭირვებისა და უფულობის გამო. ვერც სენაკელები დააღწევენ თავს ბოლოსწინა ადგილისათვის ბრძოლის საშიშროებას. მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ამ კლუბის პრეზიდენტ კახა რუსიაზე ითქმის. ამასაც როდემდე ეყოფა ენთუზიაზმი და სახსრები, მხოლოდ თავად უწყის...

შავ დღეშია ხაშურიც „ივერიაც". ახლახან გუნდს დედაბოძი გამოეცალა კლუბის პრეზიდენტის თამაზ ბერიძის სახით. „ივერია" მანამდეც გაჭირვებული იყო, პირველი წრის მერე გუნდი მთავარ მწვრთნელმა და ერთბაშად ექვსმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ახლა კიდევ პრეზიდენტის სიკვდილი. ერთადერთი, რამაც შეიძლება „ივერია" დაშლას და გავარდნას გადაარჩინოს, ახალბედა მწვრთნელის მალხაზ ლაცაბიძის ენთუზიაზმია. არადა, ხაშური არ იყო, „დინამოს" რომ ქულა დააკარგვინა? პოტენცია არის, მაგრამ სახსრები არაა...

ვერც ზუგდიდელებს ულხინთ. რაც ამათ გადაიტანეს, მტერს არ უსურვებს კაცი, მაგრამ ალბათ ზუგდიდურ ფენომენს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ოდიშური გუნდი მაინც არსებობს და ბრძოლას განაგრძობს. რაც უნდა მოხდეს, ერთი რამ ცხადია: ზუგდიდში გუნდი არასდროს დაიშლება. როგორც კი ქვეყანა მოიხედავს და ეკონომიკა წელში გაიმართება, დღეს აუტსაიდერი „ზუგდიდი" მყის მედლებისთვის მებრძოლ გუნდებში ჩაეწერება და დარწმუნებული ვარ, იმავე სეზონში მოიპოვებს ევროთასების საგზურს. აი, მაშინ კი აყვავდება ზუგდიდური ფეხბურთი.

ბოლნისის „სიონზეც" არაერთხელ ავტეხეთ განგაში, გუნდი იშლებაო. თუ რაღაც რადიკალური არ მოხდა, ნოდარ ხიზანიშვილსაც აევსება მოთმინების ფიალა და თბილისს გამოსწევს. როგორი საქმეა, რაიონში წასული კაცი მარტო ენთუზიაზმზე თვეობით მუშაობდე. სამმა ფეხბურთელმა უკვე დატოვა კლუბი და რუსეთს მიაშურა. მოკლედ, ამ წერილს რომ წაიკითხავთ, შესაძლოა „სიონი" აღარც არსებობდეს.

ყვარლის „დურუჯზე" რა უნდა ვთქვათ — ყველაფერი ნათელია. თხუთმეტ მატჩში დაგროვებული ერთადერთი ქულა და ოთხი გატანილი ბურთი ყველაფერს ცხადყოფს. ამასწინათ მავანმა მითხრა, ჟურნალისტებს რომ საფეხბურთო გუნდი „ჩემპიონი" გვყავდათ და თბილისის პირველობაზე ასპარეზობდით, არა მგონია, „დურუჯზე" უარესი შედეგით დაგვემთავრებინათ პირველი წრეო. და მაინც, ქების სიტყვები უნდა ვუთხრათ ყვარლელებს, რადგან, ფაქტიურად, უაზრო მატჩებისთვის წინასწარ რომ იყვნენ მარცხისთვის განწირულნი, მაინც იკრიბებოდნენ და თამაშებზე ჩადიოდნენ.

მოკლედ, ის გუნდები ჩამოვთვალე, მეორე წრისთვის მზადება გვიან ან სულაც რომ არ დაუწყიათ, თანაც უამრავი პრობლემა რომ აქვთ, ძირითადად კი — ფინანსური. არამკითხე მომბესავით რომ დაგიჩემებია, ჩვენს პირველ ჯგუფში გუნდების რაოდენობა შევამციროთო, ნუთუ რაიონების ფეხბურთზე არ ფიქრობო — ხშირად უთქვამთ ჩემთვის სპეციალისტებს. მე რომ ვფიქრობ რაიონების ფეხბურთზე, იმის ნახევარი რომ იმ რაიონების ხელმძღვანელებმა იფიქრონ, ხომ აშენდებიან იქაური გუნდები. როგორ შეიძლება, ერთი გუნდი ვერ შეინახოს თუნდაც გორისხელა ქალაქმა? მთავარი გაჭირვება არაა, მთავარი უგულობა და, არ შემეშინდება ამის თქმა, არაპატრიოტიზმია. გორში რომ „დილა" დაიშალოს, სად უნდა წავიდეს მერე ის ოცამდე ფეხბურთელი, ოჯახს რომ ხელფასით არჩენს? ანაც რა ქნას ხალხმა, რომელსაც ერთადერთ გულისგადასაყოლებლად ფეხბურთიღა აქვს? გურამ გაბისკირია რომ დღეს თბილისში ყოფილიყო, ანახვებდა ყველას, როგორ უნდა გუნდის შექმნა და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ „ცხუმი" დღესაც ითამაშებდა...

ახლა დალხინებულ გუნდებზეც ვთქვათ. ჩემპიონი მეშვიდედაც, ალბათ, „დინამო" გახდება. ან რატომ უნდა გაუჭირდეს ჩემპიონობა, როცა პირველი წრე პირველი ადგილზე დაამთავრა, ყველაზე ადრე დაიწყო მომზადება, რამდენიმეეტაპიანი ნაყოფიერი მოსამზადებელი ციკლი გაიარა, აქედან ორი — საზღვარგარეთ. გუნდს ახლა ნებისმიერ ადგილზე 4-5 ძლიერი და კარგად ნავარჯიშევი ფეხბურთელი ჰყავს, რაც კონკურენციას ზრდის. პირველი წრის შემდეგ „დინამოს" დავით ყიზილაშვილი დაემატა. გელა ინალიშვილიც ჩადგება მწყობრში, ამას დაუმატეთ გაგა გადელია და გიზო ჯელაძე, ჩინებული ბაზა, მოსამზადებელი პირობები და კიდევ უამრავი პატარ-პატარა სიკეთე, რაც სხვებს არ გააჩნიათ. თანაც გუნდს სახელად თბილისის „დინამო" ჰქვია და მისი მწვრთნელი დავით ყიფიანია. მოკლედ, თბილისელებს ჩემპიონობის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ. ამას „სამტრედიის" დასუსტებაც უწყობს ხელს. ოთხი წამყვანი ფეხბურთელის წასვლამ, არა მგონია, უკვალოდ ჩაიაროს. ორვე ჯანაშია და ზურაბ იონანიძე იყვნენ ის ფეხბურთელები, გოლები რომ გაჰქონდათ. ალბათ, გახსოვთ „დინამოსთან" მარტო იონანიძის შეცვლამ როგორ დაასუსტა „სამტრედია", ახლა კი ერთბაშად სამი ფორვარდი გამოაკლდა. ყველაზე ძლიერი შემატება სამტრედიელთათვის ბუბა ტყავაძის მწყობრში ჩადგომა იქნება, მაგრამ საჩემპიონოდ, არა მგონია, ძალა ეყოთ.

მეშვიდე ჩემპიონატის მეორე წრეს ვინც გადაარჩენს, „მარგვეთი", „შევარდენი", „ბათუმი", „მეტალურგი" და „გურია" იქნებიან. „მარგვეთი" სერიოზულად ემზადება, მიზნადაც ევროთასები დაუსახავს. „შევარდენში" ხურცილავას დაბრუნებით გუნდი, ალბათ, ძალიან შეიცვლება. ამიტომ თუა, რომ ჯერჯერობით ხურცილავა ინტერვიუს არ იძლევა. რაც შეეხება რუსთავის „მეტალურგს", უფრო სწორად, რევაზ ძოძუაშვილს, ბოლოსდაბოლოს, მისთვისაც გამოიდარა. საქმე ისაა, ახლა ძოძუაშვილს მხოლოდ ფეხბურთზე და გუნდის მომზადებაზე უწევს ფიქრი. ბათუმელებმა ევროთასებს გემო გაუგეს, თანაც სტადიონის რეკონსტრუქცია საბოლოოდ დამთავრდება და განა აქვთ სხვა უფლება, თუ არა ევროთასების საგზურის მოპოვება? რაც შეეხება „გურიას", ყველაზე მეტ ქებას ის იმსახურებს: გათამაშების ცხრილის ბოლოს ექვსი ქულით ჩარჩენილმა ლანჩხუთელებმა ქვეყანა შეაწრიალეს, სპონსორიც იშოვეს და ბეგი სიხარულიძემ მკლავებიც დაიკაპიწა. ასე რომ, მადლობა გულშემატკივართა სახელით „სამტრედიას", „მარგვეთს", „შევარდენს" „მეტალურგს", „ბათუმსა" და „გურიას" კარგი მზადებისა და „დინამოსთან" და ერთმანეთთან მოსალოდნელი ლამაზი ორთაბრძოლებისათვის.

თანაც, ნუ დაგვავიწყდება — წელს საქართველო ევროთასებზე ერთით მეტ გუნდს გამოიყვანს.

მამუკა კვარაცხელია

# საქართველოში მარადონაც გაფუჭდება

სენაკის „ეგრისის" მთავარ მწვრთნელ ნუგზარ ბოჯგუასთან დაკავშირება ჯერ კიდევ იანვარში ვცადე, მაგრამ ამაოდ. იგი მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის დაუსწრებელი განყოფილების მსმენელია. მას შემთხვევით ფეხბურთის ფედერაციაში წავაწყდი.

— მოსკოვში იმიტომ შევყოვნდი, რომ მწვრთნელთა სკოლაში გამოცდები და ჩათვლები მქონდა ჩასაბარებელი. ახლა თვენახევრით გამომიშვეს.

**— თქვენს გარდა კიდევ თუ სწავლობს ვინმე საქართველოდან?**

— მერაბ ბობოხია. ჩვენ ადრე ერთად ვმუშაობდით „ცხუმში". თავის დროზე იგი „გურიაში" და „ცხუმში" თამაშობდა. კიდევ ერთმა ქართველმა, ავთო ქანთარიამ, ჩვენზე ადრე დაამთავრა ეს სკოლა.

**— მოსკოვში სწავლის გამო გუნდთან ხშირი განშორება მოგიწევთ...**

— საქმე ისაა, რომ „ეგრისმა" პირობების უქონლობის გამო ძალიან გვიან დაიწყო მომზადება და, ამდენად, სწავლას ხელი არაფერში შეუშლია.

**— რა ცვლილებებია გუნდში?**

— ჩხიკვაძე ნოვოსიბირსკში წავიდა სასწავლებლად, დანელია, მალანია და რუსია ჩინეთში. იოსელიანი საბერძნეთის „ლარისაშია" გასინჯვაზე, ბუკია — ევპატორიაში, კალანდაძე — „შუქურაში", ხევსურიანი — „მორკინალში". ძველებიდან სულ შვიდი კაცი დარჩა. წასულების ნაცვლად გუნდი ახალგაზრდებით შევავსეთ.

**— „ეგრისს" პირველ წრეშიც არ ულხინდა. ახლა, ალბათ, უფრო გაუჭირდება...**

— გუნდი რომ დააკომპლექტო, 2-3 წელი მაინც გჭირდება. კვალიფიციური მოთამაშეებისა და დროის გარდა, ამისათვის მატერიალური ბაზაც არის საჭირო. ეს საქართველოში რამდენიმეს გარდა, არც ერთ გუნდს გააჩნია, მათუმეტეს, ჩვენნაირს.

**— „ცხუმის" შემდეგ აუტსაიდერ „ეგრისში" გადასვლა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძნელი უნდა ყოფილიყო თქვენთვის. სხვა გუნდებიდან არ გქონიათ მიწვევები?**

— მქონდა, მაგრამ ახლა მათ ჩამოთვლას აზრი არ აქვს. ჩემი მიზანი ამჟამად „სენაკის" ფეხზე დაყენებაა. „ცხუმში" სხვაგვარად იყო საქმე. ომის დაწყებამდე იდეალური პირობები გვქონდა — საკუთარი ვერტმფრენი იქნებოდა ეს, კვება, ფორმები თუ სპორტული ატრიბუტიკა, სავარჯიშო პირობებზე ხომ არაფერს ვამბობ — მოკლედ, არაფერი გვაკლდა. და ამის მნახველმა მწვრთნელმა უნდა ავარჯიშო გუნდი, რომელსაც სავარჯიშოდ ბურთიც არ მოეპოვება. ერთი სიტყვით, „ეგრისში" მოკლებული ვარ ჩემი საქმის კეთების შესაძლებლობას. მაყურებელსაც ჩვენი პრობლემები არ აინტერესებს — იგი მხოლოდ მოგებას მოითხოვს. გასაგებია მათი სურვილი, მაგრამ წარმატება ხომ მარტო სურვილით არ მიიღწევა?

სენაკში რომ ჩავედი, ჩემპიონატის დაწყებამდე თვე იყო დარჩენილი. საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ. პირობებიც, ასე თუ ისე, გვქონდა, ამის წყალობით მივაღწიეთ პირველი წრის ფინიშამდე, ერთიორი ლამაზი თამაშიც კი ჩავატარეთ. ყოველ შემთხვევაში ხელწამოსაკრავი გუნდი არ ვყოფილვართ.

**— პირველი წრის დასასრულს „ეგრისს" მეკარის პრობლემა შეექმნა — იმდენად სერიოზული, რომ კარში, რამდენად პარდოქსულიც არ უნდა იყოს, მცველი ახალაია დადგა. ახლა ქვაჩახიაც წასულა...**

— ქვაჩახიას წასვლამ გული დამწყვიტა. ძალზე ნიჭიერი მეკარეა და მისი შემცვლელის მოძებნა ნამდვილად გაგვიჭირდება. იგი „ასმარალში" გადავიდა და, როგორც გავიგე, „ლოკომოტივშიც" აპირებდნენ მის გასინჯვას.

–ნუგზარ ბოჯგუა ამჟამად „ეგრისის" მწვრთნელი კია, მაგრამ ისევე როგორც ნებისმიერ „ცხუმელს", ერთი ოცნება — მშობლიური გუნდის ხელახალი შეკრება და აღდგენა ასულდგმულებს. „ცხუმი" რომ მისი გამუდმებული ფიქრისა და დარდის საგანია, ჩვენი საუბრის დროსაც ხშირად მჟღავნდებოდა. ვარაუდის დონეზე ესეც ვთქვით: იქნებ კვიპროსის ჩემპიონატში მოთამაშე ფამაგუსტას „ანორთოსისის" ვარიანტი საქართველოშიც ვცადოთო. (ფამაგუსტა თურქეთის მიერ ოკუპირებულ კვიპროსის ტერიტორიაზე მდებარეობს, „ანორთოსისი" კი ლარნაკაში ვარჯიშობს, თუმცა ფამაგუსტას სახელით ასპარეზობს). აფხაზეთის ამბების შემდეგ სულ მუდამ „ცხუმის" აღდგენაზეა ლაპარაკი, თუმცა ეს ყველაფერი საუბრის დონეზე რჩება, რეალურად კი არაფერი კეთდება — უსახსრობის გამო.

— რამდენჯერმე შემომთავაზეს გუნდის აღდგენა, მაგრამ როცა ამას გთავაზობენ, იმაზეც ხომ უნდა იფიქრონ, შესაძლებელია თუ არა ამის განხორციელება. დღეს ყოფილ ცხუმელებს რომ ვუთხრა, გუნდს აღვადგენ და მოდი, ჩემთან ითამაშეო, შეიძლება, არც წამოვიდნენ და მართლებიც იქნებიან. ეს ხომ აფხაზეთის დაბრუნებისათვის ბრძოლა არაა, რასაც არც ერთი მათგანი აარიდებდა თავს. პატრიოტიზმი და ფეხბურთი დღესდღეობით შეუთავსებელი ცნებაა — ფეხბურთელს მშიერი კუჭი უფრო აწუხებს. თანაც, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ აფხაზეთი საბოლოოდ დავკარგეთ, გუნდის „ცხუმის" სახელით შექმნა იგივე იქნება, თბილისში ცხოვრობდე და ნიუიორკელობა დაიბრალო. თუ აფხაზეთს დავიბრუნებთ, მაშინ კი ბატონო, საქმეს რეალური ელფერი მიეცემა.

სხვა საქმეა „ანორთოსისი". საბერძნეთში გამოინახა ადამიანი, რომელიც თავისი მიწა-წყლის სიყვარულით გუნდს ეხმარება, მაგრამ ბერძნებისგან განსხვავებით, ბევრიც რომ ვეძებოთ, ასეთ ქართველს დღეს სანთლითაც ვერ ვიპოვნით. ღმერთმა გვაპოვნინოს, მაგრამ გუნდის შენახვისთვის წელიწადში 200 ათასი დოლარის გამოძებნა ზღაპარს უფრო ჰგავს. აქ მე მხოლოდ ელემენტარულ პირობებს — ვარჯიშს, საზღვარგარეთ შეკრებების მოწყობას ვგულისხმობ. დღეს კი მინდორსაც არავინ დაგვითმობს. ეს რომ ვინმეს ვთხოვო, ცოტა არ იყოს, არასერიოზული კაცის რეპუტაციას შევიქმნი. თანაც, უცხოეთში წასული ჩვენი ბიჭები ცხოვრებას არ უჩივიან, და შინ რატომ დაბრუნდებიან? მოკლედ, დღეს „ცხუმის" აღდგენა არარეალურად მიმაჩნია.

**— კარგით, მაშინ რეალურს დავუბრუნდეთ. ძველები „ეგრისში" ახალგაზრდებით შეგიცვლიათ.**

— კარგი, ნიჭიერი, მაგრამ, მაინც ბავშვები არიან, თანაც, სენაკელებს ნუ ეწყინებათ, მაგრამ გუნდში მიღებულ ახალგაზრდასთან ისეთ რამეზე ვმუშაობ, რაც მისთვის მწვრთნელს ბავშვობის ასაკში უნდა ესწავლებინა. ახლა ძველი შემადგენლობიდან დარჩენილ შვიდ კაცს სამ ახალს დავუმატებ და რაღაცას გავაკეთებ, მაგრამ რა გამოვა აქედან, ვერ გეტყვით.

**— ხომ არ ფიქრობ, რომ ჯგუფიდან გავარდნა გემუქრებათ? ბევრი ასე ფიქრობს.**

— ამის თქმა ჯერ ნაადრევია, რადგან თამაშებს შორის, ერთკვირიან შუალედებში, შესაძლებელია, გუნდი შევკრათ, შევათამაშოთ, წინაც კი წავიწიოთ. რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ წელს „დურუჯის" გარდა, სენაკი, ხაშური ან ზუგდიდი უნდა გავარდეს. მე ასე არ ვფიქრობ. შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი, თუმცა კარგი ფეხბურთის თამაშს კარგი პირობები სჭირდება. პურ-მარილსაც ხომ კარგი ღვინო ამშვენებს?!

**— როგორ ფიქრობთ, პირველ წრეში მეტის მიღწევა თუ შეგეძლოთ?**

— ეს შედეგი ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმს არ გამოხატავდა. ბევრი ქულა დავკარგეთ. ჯერ ერთი, ფეხბურთელებს I ჯგუფში ადაპტაციისთვის დრო დასჭირდათ. შემდეგ ამისა, პირველმა წაგებებმა ძალების რწმენა დააკარგვინათ, ბევრი მათგანი გამოუცდელიცაა. თანაც, პირველ მატჩზე სენაკში ინციდენტი მოხდა და რამდენიმე შეხვედრა შინ ვეღარ ჩავატარეთ. ქულები ამის გამოც დაგვაკლდა. წარუმატებლობა ცუდმა პირობებმაც განაპირობა. ფაქტია, რომ საქართველოს გუნდებს დახმარება სჭირდებათ. აგერ, რუსებმა ფეხბურთში ფული დააბანდეს და ადრე თუ მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკი" იყო ძლიერი, ახლა ხუთია ასეთი. ამას გარდა, ჩემპიონატის სტრუქტურაც დასახვეწია. 16 გუნდი საქართველოსთვის ბევრია. მათი რაოდენობა 12-მდე უნდა შემცირდეს.

**— ამ შემცირებაში „ეგრისიც" რომ მოჰყვება?**

— ჩვენ ხომ კარგი ფეხბურთის ნახვა გვსურს? და თუ ამას სენაკი ან ნუგზარ ბოჯგუა შეეწირება, ეს არ არის მთავარი. მთავარი ხალხის სტადიონისკენ მობრუნებაა. ამ 12 გუნდს შემდეგ გავყოფთ, ნაწილი ევროპის საგზურებისთვის იბრძოლებს, ნაწილი კი — ჯგუფში დარჩენისთვის. თანაც ყველაფერს ნულიდან, უქულოდ დაიწყებენ. ნამდვილი ბრძოლა მერე გაჩაღდება. შეიძლება, ვინმემ უფრო კარგი სისტემაც მოიფიქროს, რასაც დიდი სიამოვნებით დავუჭერ მხარს.

ჯერჯერობით კი მარადონა რომ ჩამოვიდეს საქართველოში, ერთი წლის შემდეგ ის მარადონა აღარ იქნება.

მერაბ მამულაშვილი

# ტყუილად ელით „სამტრედიის" აღსასრულს, ეს არ მოხდება!



ტარიელ ჩანუს ნახვა გადაუტატებამეც, არ იყო იოლი. ახლა მითუმეტეს. დეპუტატობის წილ მას „სამტრედიის" პრეზიდენტობიდან გადადგომა მოუწია და ახლა მხოლოდ გუნდის საპატიო პეზიდენტია. თბილის — სამტრედიის გზაზე გახიდული ტარიელ ჩანუა „დინამო" — „დილას" სათასო მატჩზე დავინახე თუ არა, ვიფიქრე, ვინ იცის, კიდევ როდის ვნახავ-მეთქი და გავესაუბრე.

ჩანუას კლუბში მისვლის დღიდან „სამტრედია" ფეხბურთის ქომაგთა ყურადღების ცენტრში მოექცა, ფაქტია, რომ ამ პატარა ქალაქის გუნდმა საქართველოს ბოლო ორ ჩემპიონატს ინტრიგულობა შეჰმატა. ათასი ხმები ისმოდა გუნდის შესახებ, ზოგი ტყუილი, ზოგიც მართალი. ერთ-ერთი მათგანი, უკვე ერთი წელი რომ ისმის, ისაა, „სამტრედია" იშლებაო. ახლახან გუნდიდან ჯანაშიების, იონანიძისა და ბერაძის წასვლამ თითქოს ეს ხმები გაამყარა კიდეც, მაგრამ თავად ტარიელ ჩანუა ამას კატეგორიულად უარყოფს.

— ფეხბურთელთა წასვლამ მიზეზი ელემენტარული იყო, — რუსეთში მათ უკეთესი პირობები შესთავაზეს. ჩემი სურვილიც ის იყო, მათ უფრო მაღალ დონეზე ეთამაშათ. რუსეთში უფრო დაიხვეწებიან და პროფესიონალებად ჩამოყალიბდებიან. გავრცელებულ ხმებს არავითარი საფუძველი არ გააჩნია. მართალია, ოთხი მოთამაშე წავიდა, მაგრამ ეს ყველაფერი წესით და კანონით, ოფიციალურად მოხდა. ამის სანაცვლოდ გუნდი წელში გაიმართა და „სამტრედიის" დაშლაზე კი არა, ახალი სეზონისთვის სერიოზულ გაძლიერებაზე ვფიქრობთ. მაქსიმალურად შევეცდებით, ევროპის რომელიმე თასის გათამაშებაზე მოვხვდეთ. გარწმუნებთ, რომ იქ სხვა „სამტრედია" ითამაშებს. გარკვეული გამოცდილება უკვე შევიძინეთ და ეს უფრო დაგვეხმარება. ახალი სეზონისათვის ფეხბურთელები, შესაძლოა, სხვა რესპუბლიკებიდანაც მოვიწვიოთ, თუკი ჩვენი მოთამაშეები არ დააკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რაც ეკადრება იმ გუნდებს, რომელიც საფეხბურთო ევროპის წინაშე აპირებს წარდგომას. ასე რომ, გუნდის გაძლიერების კონკრეტული გეგმა არსებობს, რასაც ჩვენ განვახორციელებთ კიდეც.

რაც შეეხება ჭორებს, ისინი მართლაც ბევრია და ჩვენი არაკეთილისმოსურნეებისგან მოდის. ეტყობა, ბევრს თვალში არ მოსდის „სამტრედია".

**— თქვენ გუნდის ანთალიაში შეკრებაზე წაყვანას აპირებდით. ეს არ მოხერხდა და საერთოდაც გუნდმა გვიან დაიწყო ჩემპიონატისათვის სამზადისი. რა იყო მიზეზი?**

— გაყიდული ფეხბურთელების საფასურის გადახდა დააგვიანეს. ანთალიაში წასვლას კი ამ თანხებით ვგეგმავდით. თანხის ნაწილი ახლაც გადაუხდელია. ამის გამო გვქონდა დროებითი ფინანსური პრობლემები, თუმცა ახლა პირობებს არ ვუჩივით — საჭმელ-სასმელის, სავარჯიშო ფორმებისა და ბურთების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. უშუქობა კი ძლიერ გვაბრკოლებს. ფეხბურთელს საუნა და ძალების აღდგენა ესაჭიროება. ჩვენნაირი მოთხოვნების მქონე გუნდს კი ასეთი პრობლემები არ უნდა აწუხებდეს.

**— შემატებულთაგან ვის გამოყოფდით?**

— ძალიან კმაყოფილი ვარ ხვადაგიანის, ლურსმანაშვილის და გვასალიასი. ისინი კარგი ფეხბურთელები და წესიერი ადამიანები არიან, თავიანთ საქმეს უპრეტენზიოდ აკეთებენ, ზოგიერთი ძველი მოთამაშისაგან განსხვავებით, რომლებსაც საქართველოში შექმნილი ვითარების ფონზე პრეტენზიები მოსძალებიათ. ჩვენ გადელიას გადმობირებაც გვსურდა, მაგრამ მან „დინამო" არჩია. ის რომ „სამტრედიაში" წამოსულიყო, თავდასხმაში საქმე გამოგვისწორდებოდა.

**— სამი თავდამსხმელის წასვლა გუნდს მართლაც რომ დაეტყობოდა. მათ ნაცვლად ვინ მოიყვანეთ?**

— ხუჭუა აბაშის „ანჯელიდან" და გვასალია. გვასალიასთან დაკავშირებით შექმნილ პატარა პრობლემებსაც უახლოეს ხანს მოვაგვარებთ და ჩათვალეთ, რომ „სამტრედიას" ხელწამოსაკრავი თავდასხმა არ ეყოლება. ამას ჩემპიონატზეც დავამტკიცებთ.

**— ქუთაისში, პირველი სათასო მატჩი როგორ გამოიყურებოდა გუნდი?**

— გულახდილად რომ ვთქვათ, ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, იმდენი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ, დამეთანხმებით, მეტოქის მინდორზე ფრე ცუდი შედეგი არ არის. მართალია, სეზონი ახლა დაიწყო, მაგრამ ვიტყვი, რომ ახალი „სამტრედია" ძველს სულაც არ ჩამოუვარდება. დიდი ენთუზიაზმით მუშაობს კახა ელაშვილიც. ჩვენ ვერ შევეგუებით, რომ „სამტრედია" საშუალო დონის გუნდად იქცეს. იგი ისეთი ძლიერი უნდა იყოს, „დინამოსთან" პაექრობაც რომ არ გაუჭირდეს. თუმცა ფარ-ხმალის დაყრას არც ახლა ვაპირებთ. კიდევ ერთხელ ვაცხადებ: წელს ჩვენ ძალიან სერიოზულ მიზნებს ვისახავთ და ამ მიზნების განხორციელების რეალური გზებიც გვეგულება.

**— გუნდის აწ უკვე საპატიო პრეზიდენტი და დეპუტატი, ალბათ, მისთვის ნაკლებად იცლით.**

— ჩემს საქმეებს გუნდის დირექტორატი აკეთებს. პრეზიდენტის მოვალეობას კი ბატონი რამაზ თელია ასრულებს. ისინი ჩემი თანამოაზრენი არიან და საქმესაც მშვენივრად უძღვებიან. რა თქმა უნდა, საკანონმდებლო საქმიანობა დიდ დროს ითხოვს, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს, სამტრედიაში ჩასვლა და ხალხთან შეხვედრაც ხშირად მიწევს, მაგრამ ფეხბურთი ჩემთვის იმდენად ძვირფასია, რომ მისთვის დროს ყოველთვის გამოვნახავ. თანაც, გუნდის ჩამოყალიბებაში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის და ახლა დეპუტატობის გამო მასზე ხელი რომ ავიღო — გამორიცხულია. მე უფეხბურთოდ ვერ გავძლებ. ასეც რომ იყოს, დირექტორატში იმდენად სერიოზული ხალხია, რამენაირად გაღაიტანენ ჩანუას არყოფნას.

**— ხურცილავას წასვლის შემდეგ ბრძანეთ, კახა ელაშვილი მთავარ მწვრთნელად პირველი წრის ბოლომდე დარჩება, შემდეგ კი ახალს მოვიყვანოო. ელაშვილი კი კვლავაც მთავარი მწვრთნელია. ჩანს, მისი მუშაობით კმაყოფილი ბრძანდებით...**

— როგორ შეიძლება არ იყო კმაყოფილი მწვრთნელით, რომლის ხელშიც პირველ წრეში გუნდმა მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო. მაგრამ შედეგზე უფრო მე მისი ენთუზიაზმი და ჰუმანურობა მხიბლავს. ბიჭებს რომ პრობლემები არ ჰქონოდათ, მას ხშირად თავისი ხელფასიც კი მიუცია მათთვის. როცა ფეხბურთელებისადმი მწვრთნელის ასეთ დამოკიდებულებას ხედავ, ძნელია, ამაგი არ დაუფასო. კახა ელაშვილს ბევრ ცნობილ სპეციალისტთან უმუშავია, მათ შორის გიგა ნორაკიძესთან, უდიდესი გამოცდილება აქვს და ხელწამოსაკრავი მწვრთნელი ნამდვილად არ არის.

**— ფეხბურთელებისგან მსმენია, მისი ვარჯიშები სიახლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევაო...**

— ეს ელაშვილის პროფესიონალიზმზე მეტყველებს. ამიტომ გუნდიც ამოუდგება მას მხარში, მეც მაქსიმალურად ხელს შევუწყობ.

**– ჩემი მოსაუბრე ოპტიმისტი კაცია. იმედიან განწყობას მაშინაც არ ჰკარგავდა, როცა „სამტრედია" რთულ მდგომარეობაში იყო ხოლმე, დიდხანს ვისაუბრეთ, აქეთურიც ვთქვით და იქეთურიც — გაზეთისთვისაც და ისედაც. ბოლოს დამამშვიდა — ხმები „სამტრედიის" აღსასრულზე გადაჭარბებულიაო.**

— როდესაც გუნდის გადახალისებულ შემადგენლობას იხილავთ, დარწმუნდებით, რომ მის გაძლიერებაზე ოცნება ამაო არ გახლავთ. ფაქტიურად, მარტო თავდასხმაში დაგვჭირდა ორი კაცის შეცვლა. დანარჩენი რგოლები კი, შეიძლება ითქვას, გაძლიერდა კიდეც. აბა, ორი კაცის წასვლამ, რაც უნდა გრანდები იყვნენ ისინი, გუნდი როგორ უნდა დაასუსტოს? მით უმეტეს, რომ მათ ნაცვლად ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები მოვიყვანეთ. გვასალიასა და ხუჭუას თავდასხმაში ყოფნა „სამტრედიას" ნამდვილად არ დააჩანაკებს. ასე რომ, დაველოდოთ მეორე წრის დასასრულს. ჩვენ ჯერ არ გვითქვამს ჩვენი სიტყვა.

მერაბ მამულაშვილი

## ეროვნული თასი

**დინამო – 4:0 [illegible]**

დინამო: ზოიძე, [illegible] ძე ([illegible] 78), [illegible] ვილი, [illegible] (გადელია 46), კიკნაძე, დემეტრაძე, ხომერიკი, ანჩაბაძე, იაშვილი

დილა: მდივანი, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ნკრიალაშვილი (კაიდარაშვილი 46), მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ფეზუაშვილი 46), მარღიშვილი (ხაჭაპურიძე 46), ხორგუაშვილი, რევაზიშვილი

1:0 დემეტრაძე (14), 2:0 გოგიჩაიშვილი (28), 3:0 კობიაშვილი (35), 4:0 იაშვილი (78)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

„დინამოსა" და „დილას" შორის თასის ნახევარფინალისტის ვინაობა მაშინ გაირკვა, როცა გორში თბილისელებმა 3:0 დაამარცხეს მასპინძლები, ასე რომ, საპასუხო მატჩი ფორმალურ ხასიათსღა ატარებდა. საგულისხმო და ნიშანდობლივი კი ის გახლდათ, რომ „დილამ" ამჯერადაც დააგვიანა და თამაში თბილისშიც დაგვიანებით დაიწყო. გორელებმა სახელდახელოდ მოიგროვეს სათამაშო ფორმა და ხეირიანად არც გახურებულან, ისე დაიწყეს თამაში.

ორივე ტაიმი ულიმღამო გახლდათ. დემეტრაძის, გოგიჩაიშვილის, კობიაშვილის და იაშვილის გოლებს „დილამ" ვერაფრით უპასუხა. ლამის მიძინებული ტრიბუნები მხოლოდ ერთხელ, ისიც პირველი ტაიმის შუაწელში გამოცოცხლდა, როცა კალაძის მოგერიებული ბურთი თანამსაჯს ხელზე მოხვდა და ალამი გაავდებინა. ათასობით გულშემატკივარს არცერთ სხვა ეპიზოდზე რეაქცია არ გამოუხატავს. იმ დღეს ეროვნულ სტადიონზე ერთი მივიწყებული ტრადიციაც აღდგა: ამიერიდან ყოველი მატჩის შემდეგ მწვრთნელები პრეს-კონფერენციას გამართავენ.

პრესკონფერენციაზე დინამოელთაგან ნოდარ აკობია, გორელთაგან კი კლუბის ტექნიკური დირექტორი ზურაბ დალაქიშვილი გამოცხადდნენ. დინამოელთა მხარეს სათქმელი არაფერი ჰქონდა და აკობიამ დარბაზი ადრე დატოვა, ხოლო მისმა კოლეგამ ჟურნალისტებს ეს მოახსენა:

— „დილა" კატასტროფულ მდგომარეობაშია. გუნდს ბოლოს უღებს ფინანსური პრობლემები. დღესაც არ აპირებდნენ ჩვენი ფეხბურთელები თამაშს, მაგრამ არ შეეძლო უყურადღებოდ დაგვეტოვებინა თბილისელთა ის დიდსულოვნება, რაც მათ გორში გამოიჩინეს. ქალაქისა და რეგიონის ხელმძღვანელები მხოლოდ დაპირებებს გვაჯერებენ, არადა, სხვა გამოსავალიც არსად გვეგულება. ჩემპიონატს როგორმე ჩავამთავრებდით, მაგრამ ყველა თამაში შინ ხომ არ გვექნება, გასვლით მატჩებს რა მოვუხერხოთ...

ზურაბ დალაქიშვილს სათქმელი სხვა არა ჰქონდა, ნერვიულობისაგან კაცი განაზვერებულიყო. დანარჩენი ფეხბურთელებისაგან შევიტყვე: ქალაქის ხელმძღვანელობა მისულა გუნდში და ბიჭებისთვის განუცხადებია — ბიუჯეტში არ გვიხიხართ, თქვენი შენახვა არც გვევალება და არც შეგვიძლიაო. ეტყობა კი არა, ძალიანაც ცხადია, რომ ამ ხალხს არც ეფეხბურთება და საერთოდაც არ სურს გუნდის ყოლა. სხვას ნამდვილად ვერაფერს ვიტყვით. იქნებ ისევ „დილას" გულშემატკივრებმა თქვან სათქმელი, ისინი ხომ მრავალნი არიან.

ერთი სიტყვით, თუ „დილას" მალე არ ეშველა, გუნდი დაიშლება, მოთამაშეები სხვა კლუბებში წავლენ და მერე მათი კვლავ შეკრება და გუნდის ხელახლა აწყობა შეუძლებელი თუ არა, ძნელზე ძნელი იქნება. თუმცა, ვნახოთ, ქვეყანაზე ყველაფერი ხდება და იქნებ ...

მამუკა კვანტალიანი

## სად ითამაშებს «მეტალურგი»?

პასუხი ამ კითხვაზე ჯერაც უცნობია. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, რომ სურს ითამაშონ თბილისში, მაგრამ სად, რომელ სტადიონზე, ეს ჯერ კიდევ დასადგენია: „კალენდარი ასეა შედგენილი — როცა ჩვენ შინ ვთამაშობთ, მაშინ „დინამოს" გასვლითი შეხვედრა აქვს და პირიქით. დაველაპარაკები „დინამოს" ხელმძღვანელობას და იქნებ ეროვნულ სტადიონზე ვითამაშოთ".

ასევე დასჯილი, ოღონდ მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ ზონის ერთ-ერთი ლიდერი რუსთავის „აზოტი", ისევე როგორც შარშან, გარდაბანში ითამაშებს.

## იტალია

### პიაჩენცა 2:1 პარმა

11 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მაკოპი, ლუჩი, ტურინი, კორინი, კაჩა (კაპელინი 90), კარბონე, პიოვანი

პარმა: ბუჩი, მუსი (არიოლი 64), ბენარივო, მინოტი, კანავარო, აპოლონი, დ. ბაჯო, ბრამბილა (პინი 72), ინძაგი, დი კიარა, კატანეზე (პირო 46)

გოლი: კაჩა (3, 45 პ), არიოლი (70)

| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 0-2 | | | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | | 0-1 | | | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | | 2-0 | | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | | | 1-1 | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | | 2-2 | | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | | 3-0 | | | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | | 0-0 | | 3-3 | | 0-0 | | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | | 1-1 | | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | | | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | | | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | | 2-1 | | | 0-0 | 1-0 | | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | | | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | | | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | | 3-0 | 3-0 | 1-1 | | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | | 1-2 | 1-0 | 3-2 | | | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | | 1-0 | | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | | 2-1 | | 1-1 | | | | 0-1 | |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | | 3-1 | 3-0 | 5-1 | | | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | 1-0 | | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | | | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | 5-0 | | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | | 1-2 | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | | 3-1 | | 2-0 | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | | |
| 20 | FC WIMBLEDON | | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ატლანტისთვის მზად ვართ!

Atlanta 1996

ოლიმპიური თამაშები ლამისაა კარს მოგვადგა,, მაგრამ ბევრი ორგანიზაციული საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. სწორედ ამიტომ, სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ ატლანტაში ჩვენი სპორტის ხელმძღვანელების საგანგებოდ მიელინება ჩათვალა საჭიროდ. საქართველოს ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ბატონი ჯანო ბაგრატიონი და სეოკის გენერალური მდივანი ბატონი ემზარ ზენაიშვილი ორ კვირას იმყოფებოდნენ ამერიკაში, სადაც ჩვენთვის საინტერესო უამრავი საკითხი გაარკვიეს.

### საორგანიზაციო კომიტეტში

ჩვენს წარგზავნილებს ამ კომიტეტში უამრავი შეხვედრა ჰქონდათ ყველა დონეზე. უმთავრესად სამი საკითხი იყო საინტერესო: აკრედიტაციის, სპორტული და ოლიმპიური სოფელი. ყველა შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი მიგვიღია და ამ მხრივ პრობლემები აღარ იქნება. საორგანიზაციო კომიტეტს შარშან ფოსტით გამოუგზავნია ჩვენთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების მთელი დასტა, მაგრამ რა გასაკვირია და, ამანათს აქამდე არ მოუღწევია. ბედად, ჩვენებმა დროულად გაარკვიეს ეს ამბავი და ქაღალდებს ადგილზე გაეცნენ, თორემ მათი წაუკითხველობის გამო უამრავ შეცდომას დავუშვებდით.

ოლიმპიური სოფელი, რომელიც ჯორჯიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ტერიტორიაზე განლაგდება, პრაქტიკულად გამზადებულია, მხოლოდ შესვლა და ცხოვრებაა საჭირო. ჩვენი დელეგაცია ალბათ დიდ კორპუსში იცხოვრებს. ყველა პირობა, რაც კი სპორტსმენს უნდა ჰქონდეს, ატლანტის ოლიმპიურ სოფელში არის. თუნდაც მარტო ის, რომ ყველა ოთახი კონდიცირებულია, ძალიან ბევრს ნიშნავს. ბარსელონაში ასე არ ყოფილა. საერთოდ, ატლანტისა და ბარსელონის პირობების შედარება თურმე არ შეიძლება, ამერიკაში ბევრად უკეთესია.

ორგკომიტეტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით დადგინდა ჩვენი სპორტსმენების ვარჯიშების გრაფიკი ოლიმპიადის წინა და მსვლელობის პერიოდშიც.

### საქართველოს საელჩოში

ვაშინგტონში ჩვენი სპორტის მამებს შეხვდნენ საქართველოს საელჩოს თანამშრომლები ელჩის, ბატონ თედო ჯაფარიძის მეთაურობით. მათ კარგად აქვთ გათავისებული ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობა და პოლიტიკური დატვირთვა. ბატონ თედოს სრული მხარდამჭერა და თანადგომა აღუთქვამს. თავად იგი ოლიმპიადის დღეებში ატლანტაში იქნება, ხოლო საელჩოს თანამშრომელი ლევან მიქელაძე ოფიციალურად იქნება მიმაგრებული ოლიმპიურ დელეგაციაზე. ერთი სიტყვით, საელჩოს თამაშების პერიოდში გვარიანი გარჯა მოუწევს — საქართველოდან ატლანტაში დაახლოებით 150 კაცი ჩავა (სპორტსმენები, მწვრთნელები, ოფიციალური პირნი, ჟურნალისტები, ტურისტები), ამას დავუმატოთ რამდენიმე ათასი საქართველოს მოქალაქე, ამჟამად ატლანტაში რომ ცხოვრობს. თუმცაღა ბატონ ელჩს უთქვამს, საელჩოს გააზრებული აქვს, რომ უნდა იყოს თავის ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესების დამცველი და თანამდგომი და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთო.

### ნიუტ გინგრიჩთან

ეს კაცი ამერიკის პოლიტიკურ იერარქიაში მესამეა პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ. ამერიკის კონგრესის სპიკერმა ნიუტ გინგრიჩმა, დაკავებულმა და საქმიანმა პიროვნებამ, გამონახა 15 წუთი და შეხვდა ქართული სპორტის თაკაცებს. თუმცაღა, საქართველოს ოლიმპიური ატაშე კელვინ ჰილი რომ არა, შეხვედრა ვერ შედგებოდა. ბატონმა გინგრიჩმა სთხოვა ბატონ ჯანოს და ბატონ ემზარს, შესაბამისი სამსახურების საშუალებით კეთილი სურვილები და მოკითხვა გადაეცათ ბატონ ედუარდ შევარდნაძისათვის. ჩვენს პრეზიდენტს გინგრიჩი დიდ პოლიტიკურ მოღვაწედ და თავის მეგობრად თვლის. კონგრესის სპიკერმა დაადასტურა ამერიკის სახელმწიფოს მზადყოფნა, ჩაატაროს ოლიმპიადა მაღალ დონეზე. ყველა სპორტსმენს ექნება თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენის პირობებიო. გინგრიჩმა ხაზი გაუსვა, რომ ოლიმპიადაზე ჯორჯიელები (ამერიკელი) შეეცდებიან ჯორჯიელებს (ქართველებს) თავი ისე აგრძნობინონ, როგორც საკუთარ სახლში. სპიკერმა ქართველ სპორტსმენებს წარმატებები და გამარჯვებები უსურვა.

### ქართულ სათვისტომოში

ამერიკის ქართულ სათვისტომოს ორი თვეა ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ესაა ახალგაზრდა ენერგიული ქალბატონი ელიზაბეტ ზალდასტანი (ზალდასტანიშვილი). მან აქტიურად დაიწყო საქმიანობა ამ პოსტზე, გააქტიურა სათვისტომოს ყველა სამსახური. ქალბატონი ზალდასტანი დაინტერესდა ოლიმპიურ დელეგაციასთან თანამშრომლობით. მას სურს, სათვისტომო რაიმე ფორმით მონაწილეობა მიიღოს ჩვენს სპორტსმენებთან ურთიერთობაში. სავარაუდოა, რომ წარჩინებული ქართველი ოლიმპიელებისთვის შეიქმნება საპრიზო ფონდი. ქალბატონ ელიზაბეტს უკვე დაუგზავნია მიმართვები მეცენატებისთვის, კომპანიებისთვის, ფირმებისთვის, რათა დაეხმარნონ ქართულ სპორტს და, პირველ რიგში, ოლიმპიადის დღეებში.

### ჩვენი სახლიც გვექნება

ძალიან აქტიურად მუშაობს ჩვენი ოლიმპიური ატაშე კელვინ ჰილი და მის მიერ შექმნილი „საქართველოს ოლიმპიური გუნდის მხარდამჭერი ჯგუფი". მათი წყალობით ერთი იმისთანა საკითხი გადაწყდა, ჩვენებს საბოლოოდ რომ ჰქონდათ ხელი ჩაქნეული.

მაღალი ფასების გამო ვერაფრით ხერხდებოდა ოლიმპიადის დღეებში შენობის დაქირავება, სადაც „ქართული სახლი" მოეწყობოდა. ბატონ ჰილს იმდენი მოუხერხებია, ჩვენთვის უფასოდ გამოუნახავს კარგა გვარიანი ფართობი. ეს შენობა ქალაქის ცენტრში დგას, ორი წუთის სავალზეა საორგანიზაციო კომიტეტიდან, ოლიმპიური პარკიდან და თამაშების მთავარი პრესცენტრიდან. ამ შენობის პირველი სართული დაახლოებით ივნისიდან ოლიმპიადის ბოლომდე უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას. იქ კი „ქართული სახლი" მოეწყობა. ეს დიდი მონაპოვარია ჩვენთვის. აქ განთავსდება არა მხოლოდ სპორტული, არამედ კულტურული და შემეცნებით-საინფორმაციო ცენტრი. ერთი სიტყვით, „ქართული სახლი" საქართველოს სავიზიტო ბარათად უნდა იქცეს. დაგეგმილია ჩვენი სპორტისთვის მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ვიდეოფირების ჩვენება, გამოფენების მოწყობა, შეხვედრები. სახლი მაღალ მხატვრულ დონეზე უნდა გაფორმდეს, ამას კი დიდი თანხები უნდა. თუმცაღა, ამგვარი საქმისათვის ჯიბეზე ხელის გაკვრა ნამდვილად ღირს.

### ჩვენთვის იმღერებენ

ისევ და ისევ კელვინ ჰილის თაოსნობით დაიგეგმა ერთი კონცერტი. 27 აპრილს, ატლანტაში, ამერიკელი მომღერალი ჯუდი კოლინზი საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. მისი შემოსავალი მთლიანად მიეთვლება „საქართველოს ოლიმპიური გუნდის მხარდამჭერ ჯგუფს". რამდენი იქნება მოგება, ჯერ-ჯერობით არავინ იცის, მაგრამ თავად კოლინზი ამ კონცერტიდან ჰონორარს არ იღებს. უდავოდ საინტერესო ფაქტია, როცა ამერიკელი მომღერალი თავის გამოსვლას ქართველ ოლიმპიელებს უძღვნის. დაგეგმილია ამ კონცერტის ვიდეოფირზე ჩაწერა და შემდეგ, თუ საშუალება იქნა, მისი საქართველოში ჩვენებაც.

### აპრილიდან ნანას ელიან

კევინ ჰილმა ერთი საქმეც გაგვიჩარხა. პირველი აპრილიდან, ნებისმიერ დროს, ქალაქ მოულტრში ელიან ქართველ ოლიმპიელს, წყალში მხტომელს ნანა ყაზარაშვილს და მის მწვრთნელს. შარაშან ზაფხულში ნანამ ერთი თვე ივარჯიშა ამ ქალაქის აუზში და მეტად კმაყოფილი დარჩა. ამჯერადაც ყაზარაშვილს მზადების ჩინებული პირობები ექნება, თანაც წვრთნას ამერიკელი სპეციალისტების მეთვალყურეობით გაივლის.

მერაბ რატიშვილი

# ნუ ჩაიხედი, პოლიციელო...



იტალიაში ის სძულთ და ამავდროულად ჭკუას კარგავენ მისთვის. უმეტესობისათვის ის განუმეორებელია, დანარჩენებისათვის — ცალტვინა და სულელი. მაგრამ ყველასთვის ერთი რამ უდავოა: ალბერტო ტომბა ვარსკვლავია, და ეს იტალიაში, სადაც ფეხბურთსა და მოტოსპორტს სპორტის სხვა სახეობები დაჩრდილული ჰყავს. მისი პოპულარობა არაა მხოლოდ სპორტული მიღწევებით განპირობებული, (1995 წლის მსოფლიო თასის გამარჯვებული, 1988 და 1992 წლების ოლიმპიადებზე სამი ოქროს მედალი), ამას ზელს სკანდალები და პატარა „სკანდალუნები" უწყობენ, რომლებიც ყველგან თან სდევენ იტალიელ „ბომბას". ტომბას აჩრდილი ყველა შეჯიბრზეა, თუნდაც იქ არც იმყოფებოდეს. მსოფლიო ჩემპიონატზე სიერა-ნევადაში, სადაც ალბერტო არც კი ჩასულა, იტალიელთა გუნდს უსტვინეს, იმათ, ვისაც ტომბასთან საერთო მხოლოდ ფორმა ჰქონდა. ამის მიზეზი კი ეს გახლდათ: ტომბამ შარშან, განაცხადა, სიერა-ნევადა ესპანეთი სულაც არ არის, ის მაროკოში მდებარეობსო. უკვე შვიდი წელია, რაც ტომბა ყველა შეჯიბრზე შვიდკაციანი ამალით მოგზაურობს. „ცნობილმა ადამიანებმა ჯერ უნდა იფიქრონ და შემდეგ ილაპარაკონ. რასაც ალბერტო ამბობს, ყველას სერიოზულ ნააზრევად მიაჩნია" — თვლის მსოფლიოს ჩემპიონი სუპერ-გიგანტში იზოლდე კოსტნერი.

„ეს გაუგებრობა იყო, მე ძალიან მიყვარს ესპანეთი და ესპანელი ხალხი," — მოიბოდიშა ტომბამ, მაგრამ უკვე გვიან იყო, გაფრენილ სიტყვებს ვეღარ დაიჭერდა.

ალბერტო ტომბას საქციელი არ შეეფერება იტალიელი პოლიციელის მორალს — დაადგინეს აპენინელმა წესრიგის დამცველებმა. ტომბა იანვრის ბოლოს კარაბინერობიდან დაითხოვეს. იმის გამო, რომ ნახევრადშიშველი მოთხილამურე რეკლამას უკეთებდა პერანგის ამხანაგს, რომელიც ეროთობ პიკანტურ ადგილებზე „ლა ბომბას" [illegible] აჭრელებული. ჯარში სამსახურისთვის თავი რომ აერიდებინა, ტომბა პოლიციაში შევიდა და „ლეიტენანტობასაც" მიაღწია, აქტიურად კი თავისი უშუალო მოვალეობა არასოდეს შეუსრულებია.

1995 წლის 17 დეკემბერს ტომბამ კიდევ ერთი სკანდალური საქციელი ჩაიდინა: ფოტოგრაფს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ საუნაში მყოფს სრულიად შიშველს ფოტო გადაუღო და შემდეგ ეს სურათი ჟურნალის გარეკანზე გამოაქვეყნა, ჯერ შამპანიურით სავსე ჭიქა, შემდეგ კი კილონახევრიანი საჩემპიონო ბროლის თასი ესროლა და ხელი დაუზიანა.

მანამ, სანამ თავად გახდებოდა წესრიგის მოდარაჯე, ტომბას სამთვიანი პატიმრობა ემუქრებოდა. 1993 წელს მან საკუთარ მანქანაზე პოლიციის სირენა დაამონტაჟა. ისეთივე პოლიციელებს რომ აქვთ და „ვერტუშკას" ეძახიან. ჩართავდა ხოლმე და, როგორც უნდოდა, ისე დაჰქროდა. ასეთი აფერისტობისთვის იტალიაში თურმე მკაცრად სჯიან, მაგრამ ტომბას მხოლოდ ფულადი ჯარიმა აკმარეს. მას ხომ იტალიაში თითქმის ყველაფერს პატიობენ.

აქვე გთავაზობთ ალბერტო ტომბას ინტერვიუს, რომელიც „შპორტ-ბილდმა" გამოაქვეყნა და სადაც „ბომბა" თავისი საქციელის ახსნას ცდილობს. წელს ტომბამ დიდი ხნის ოცნება აისრულა — სიერა-ნევადაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა სლალომსა და გიგანტურ სლალომში.

— საკუთარ თავს ხშირად უქმნით პრობლემებს. მაგალითად, ალტა ბადიაში ფოტოგრაფს თასი ესროლეთ.

— ის ფოტოგრაფი კი არა, არაკაცია, მან სიტყვა გატეხა და რვა წლის წინანდელი ჩემი შიშველი ფოტო გამოაქვეყნა. მე და ჩემი ოჯახი გაოგნებულები ვიყავით. მართალი გითხრათ, მისთვის ზიანის მიყენება სულაც არ მინდოდა, უბრალოდ, თასი გულშემატკივრებს გადავუგდე პატივისცემის ნიშნად, განგებამ კი ისე ინდომა, რომ ნასროლი საგანი იმ არამზადას მოხვდა და დაამავა.

— მანამდე იყო კონფლიქტები კრანისკა გორასა და ადელბოდენში.

— კრანისკა გორაში იმან გამაცოფა, რომ პატარა ბავშვივით მექცეოდნენ. რატომ უნდა გაეუქმებინათ ჩემი შედეგი? თუ რამეში ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, იმას არც ვაკეთებ. მე თუ ხალისით არ ვისრიალებ, მაღალ შედეგს ვერ ვაჩვენებ. ჩემი გულშემატკივრების წინაშე ვალდებული ვარ, შეჯიბრების დროს საუკეთესო ფორმაში ვიყო. ახლა იმაზე, რაც ადელბოდენში მოხდა: ეს მსოფლიოს სამთო-სათხილამურო სპორტის კავშირის სულელური გეგმის გამო იყო. კიცბიუელიდან ადელბოდენში სიშორის გამო მონაწილენი ნაშუაღამევს ჩავიდნენ, დილის ცხრა საათზე კი ასპარეზობა იყო დანიშნული. ეს უაზრობაა, თანაც გაციებული ვიყავი და სიცხიანმა ჩემს სახლში, ბოლონიაში, შეჯიბრის ტელევიზორით ყურება ვამჯობინე.

— თემა შევცვალოთ: თქვენ იტალიელი ბრძანდებით და „ფერარის" გულშემატკივრობთ „ფორმულა-1"-ში. რა სიკეთე შეიძლება მოუტანოს ამ გუნდს მიხაელ შუმახერმა?

— იგი „ფერარისთვის" უდიდესი მონაპოვარია. მჯერა, რომ შუმის „ფერარის" ძველ დიდებამდე აღზევება ძალუძს. შუმახერი სწრაფი, ჭკვიანი და ორგანიზებული პილოტია. იტალიელებს უყვართ გამარჯვებულნი, თუნდაც ისინი უცხოტომელნი იყვნენ. ყველას და მათ შორის მეც მჯერა, რომ „ფერარი" მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.

ერეკლე კიკილაშვილი

## ჭიდაობა

### ნოვოგორსკის ნაცვლად თბილისში

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები, როგორც ადრე გაუწყეთ, ევროპის ჩემპიონატის წინ რუსეთში, ნოვოგორსკში აპირებდა შეკრების მოწყობას. ფალავნები უკვე ჩემოდნებს ალაგებდნენ, როცა გამგზავრების წინა დღეს რუსეთის ჭიდაობის ფედერაციიდან დაურეკეს და უთხრეს, ნოვოგორსკში ასეთი და ასეთი პირობებია და თუ გნებავთ ჩამოდითო. „ასეთ და ასეთში" კი ის იგულისხმებოდა, რომ ჩვენებს ლამის იყო იატაკზე უნდა დაეძინათ. არადა, მოჭიდავეთა შეკრების საკითხი ჯერ რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტთან ვიტალი სმირნოვთან, შემდეგ კი რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტთან ივან იარიგინთან შეთანხმებით გადაწყდა.

ქართველმა მოჭიდავეებმა უარი თქვეს ნოვოგორსკში გამგზავრებაზე და სანაცვლო შეკრებას თბილისში გაივლიან. სპორტის დეპარტამენტმა და ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამისთვის სახსრები გამონახა და ფალავნები ნორმალურ პირობებში ვარჯიშობენ. ისინი სასტუმრო „პაგრანიჩნიკში" დაბინავდნენ.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გალდავამ ასე შეაფასა ნოვოგორსკთან დაკავშირებული ფაქტი: „ამაში ვერავის დავადანაშაულებთ რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის გარდა. ნოვოგორსკში შეკრება რუსეთის გუნდთან ერთად უნდა გაგვევლო, ჩანს, მათ არ სურდათ ჩვენთან, ევროპის ჩემპიონატზე მომავალ კონკურენტებთან ერთად მომზადება".

მიხეილ დადიანი

### ბუდაპეშტში 9 კაცით

„თავისუფალთაგან" განსხვავებით, საქარველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებს რუსეთში, ადგილობრივ გუნდთან მომზადების საშუალება მიეცა. ჩვენები კვირას გაემგზავრნენ პადოლსკს. მანამდე კი ბორჯომში ორკვირიანი შეკრება გაიარეს.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ევროპის ჩემპიონატისთვის 9 მოჭიდავე შეარჩია. ისინი ყველა პადოლსკში გაივლიან შეკრებას: გელა პაპაშვილი (48), ჯამბულ ფუტკარაძე (57), კობა გულიაშვილი (62), ტარიელ მელელაშვილი (68), გიორგი ჯინჭველაშვილი (74), მუხრან ვახტანგაძე (82), თენგიზ თედორაძე (90), ბაკურ გოგიტიძე (100), ზვიზა ქორიძე (მძიმე).

პადოლსკში სათადარიგოს სტატუსით ივარჯიშებს კობა ჭიჭველიშვილი (90). ქართველი მოჭიდავეები ორ კვირას დაჰყოფენ რუსეთში, მერე კი ბუდაპეშტს გაემგზავრებიან.

დათო ძავთარაძე


თბილისის ცირკში

რუსეთის ცირკის ვარსკვლავები

დასაწყისი 15 საათზე; შაბათსა და კვირას 12 და 16 საათზე



გრიტ ბროიერი

# ფოლსტარტების ფოიერვერკი

**პარასკევიდან** კვირამდე სტოკჰოლმის „გლობენში" გამართულ ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატს ვითომ არა უშავდა რა — კონტინენტის 48 ქვეყნიდან მხოლოდ სამმა: გიბრალტარმა, მონაკომ და ლიხტენშტაინმა არ მიავლინეს გუნდები, მაგრამ საზაფხულო სეზონის ფულიან შეჯიბრებებზე ისეა დაგეშილი ვარსკვლავთა საძმო, რომ 23 ჩემპიონიდან მხოლოდ ცხრამ მოიცალა ტიტულის დასაცავად. გარდა ამისა, ორგანიზატორებს ისეთი ლაფსუსები მოუვიდათ, რომ კურიოზების წიგნშია შესატანი.

დავიწყოთ იმით, რომ ახალი სახეობა — ქალთა ჭოკით ხტომა გახსნის პარალელურად მიმდინარეობდა. იმავ საღამოს სულ მთლად გაუგონარი რამაც მოხდა: 60 მეტრზე რბენის ვაჟთა მეორე ნახევარფინალი რომ მორჩა, წამზომმა სასწაული დრო — 6,17 აღნუსხა. მსაჯები ამ ახალ მსოფლიო რეკორდს აბა როგორ ჩათვლიდნენ. ჰოდა მოიგონეს, ფოლსტარტი იყოო, გასახდელებში წასული მონაწილეები უკანვე გამოიხმეს და ხელახლა გააქცუნეს. მსაჯების ბედად პირველი, ფინალში გამსვლელი სამეული იმავენაირად დალაგდა.

ფოლსტარტი მთელი შეჯიბრის ჭირი იყო. მიმომხილველებმა ეს სამი მიზეზით ახსნეს: ერთი, რომ მონაწილეებს ერთობ აყოვნებდნენ სტარტზე და ამათაც ნერვები ღალატობდათ; მეორე, მავანნი ძალად არღვევდნენ წესს, მეტოქეები წონასწორობიდან რომ გამოეყვანათ; და მესამეც, სასტარტო გასროლის დარბაზისეული ექო მორბენლებს ფოლსტარტის ნიშანი ეგონათ და ჩერდებოდნენ.

ასეთ ვითარებაშიც რიგიანი შედეგები აღინუსხა. საგულისხმო იყო კატრინ კრაბესთან ერთად სკანდალურ სადოპინგო საქმეში გარეული ბრიტ ბროიერის (გერმანია) გამარჯვება 400 მეტრზე. მისი შედეგი — 50,81 წელს ჯერჯერობით საუკეთესოა. 60 მეტრზე ვაჟთა თარჯრბენში მესამედ გაიმარჯვა 33 წლის ლატვიელმა იგორ კატანოვმა — 7,59. 43 წლის რუსი დედაკაცი ეკატერინა პოდკოპაევა 1 500 მეტრზე ჩამორჩა კარლუშ საკრამენტუს (პორტუგალია). 5 000 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდსმენმა ფერნანდა რიბეირუმ (პორტუგალია) სეზონის საუკეთესო შედეგით — 8. 39, 49 გაიმარჯვა 3 000 მეტრზე ქალთა შეჯიბრში. კაცთა შეჯიბრი 60 მეტრზე რბენაში მოიგო გერმანელმა მარკ ბლუმერმა (6,62), ვინაც იმ სკანდალურ ნახევარფინალშიც გაიმარჯვა. იმავე დისტანციაზე ქალთაგან ყველას 21 წლის ბერძენმა ეკატერინე ფანუმ აჯობა — 7,15 წამი. ქალთა ჭოკი მოიგო არა ჩეხმა დანიელა ბარტოვამ, არამედ ნორჩმა ისლანდიელმა ვალა ფლოსედოტიურმა — 416 სანტიმეტრი. სამაგიეროდ, დედაკაცთა მიერ ბირთვის კვრაში ბადალი არა ჰყავდა სახელმოხვეჭილ გერმანელ ასტრიდ კუმბერნუსს — 19,79 მეტრი.

ექს-რუმინელმა სიმაღლის მხტომელმა გალინა ასტაფეიმ 198 სანტიმეტრის ძლევით გაიმარჯვა, მაგრამ კინაღამ ინტრიგის მსხვერპლი შეიქნა. მართალია, სამშობლოს მძლეოსნობის ფედერაციამ გალინას გერმანიის სახელით გამოსვლის ნება დართო, რასაც ქალი აგერ უკვე წელზე მეტია, რაც იყენებს, მაგრამ ახლა სად იყო, სად არა, რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ალექსანდრე მირონოვი გაჯიქდნენ: ქვეყანას ასტაფეის აღზრდა ერთ მილიონ მარკამდე დაუჯდა და ვიდრე გერმანელები საბოლოოდ წაგვგვრიდნენ ტალანტს, ჯერ კეთილი ინებონ და კომპენსაცია მოგვცენო. თუ რამდენი, მირონოვს არ დაუზუსტებია.

ემზარ არაყიშვილი

# სადოპინგო კალეიდოსკოპი

**40 წლის** ამერიკელ ფერმწერსა და ცურვის ინსტრუქტორ რიკ დემონთს თავი დღესაც დაჩაგრულად მიაჩნია. საქმე ისაა, რომ რიკმა 1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიადაზე, მოიგო 400 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვა, მაგრამ ორი დღის შემდეგ დოპინგ-ტესტი ჩაუფლავდა, რის გამოც დისკვალიფიკაცია მისცეს, მისი ოქროს მედალი კი მეორე ადგილზე დარჩენილ ბრეთ ქუფერს უწყალობეს.

16 წლის რიკისთვის, იმ დროს 1500 მეტრზე ცურვის მსოფლიო რეკორდსმენი რომ იყო, დისკვალიფიკაცია დიდი სულიერი ტრავმა ყოფილა; მით უფრო, თუ ჭაბუკს ასთმა ტანჯავდა, რის გასაყუჩებლადაც მიუღია ის წამლები, დოპინგად რომ ჩაუთვალეს. ამ მედიკამენტების სია გულუბრყვილო ამერიკელს სტარტამდე თავად წარუდგენია მსაჯებისათვის.

დემონთს რეაბილიტაციისთვის და ოქროს მედლის დასაბრუნებლად ბრძოლა ამ რვა წლის წინ დაუწყია — მანამდე თურმე ხელოვნებით მეტისმეტი გატაცების გამო სასამართლოებში სარბენად არ ეცალა. შეხმიანებია ქუფერსაც, ოღონდ მის პასუხს არ ამხელს.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) დემონთის საქმე პირველად დეკემბერში განიხილა და უარიც სტკიცა ამერიკელს. აქაოდა დღესაც იმავენაირად დაგსჯითო. რაკი არ მოეშვა სოკ-ის სამედიცინო კომისიას, სასამართლოში ჩივილითაც დაემუქრა, მაგრამ სოკ-ის 4 მარტისეული განაჩენი იგივე იყო.

ოლიმპიური მედიცინის მამები უარით რომ ისტუმრებენ მომჩივანს, თავს იმართლებენ, აქაოდა ამ ამბებიდან 24 წელია გასული, ამიტომ საქმის დეტალების მოძიება გაჭირდებაო, თუმც კი თავადაც აღიარებენ, სამედიცინო კომისიის თავკაცს, ბელგიელ გრაფ ალექსანდერ დემეროდს ყველაფერი ცხადად ახსოვსო. და მაინცო, — აცხადებენ მედიკოსები, — დემონთის ამჟამინდელი საქციელი ოლიმპიურ სულისკვეთებას სულ არ შეეფერებაო (!?)

წინა კვირაში დემეროდმა ორი მნიშვნელოვანი ცნობაც მიაწოდა მედიას. ერთი, რომ შეუმუშავებიათ აქამდე მოუხელთებელი ნივთიერების, ე. წ. ი-პი-ოუს სხეულში აღმოჩენის მეთოდი. ამ ნივთიერებაზე თურმე დიდად ყოფილა დამოკიდებული სისხლში ჟანგბადის შემცველობა. ერთი ეგაა ყოფილა, რომ მეთოდი მეცნიერულად ჯერაც დაუსაბუთებულია, რის გამოც ატლანტაში თუმც ამგვარ ტესტირებასაც ჩაატარებენ, მაგრამ შედეგებს არ გამოაქვეყნებენ.

მეორე განცხადება ანტი-სადოპინგო კანონმდებლობას ეხება. დემეროდის აზრით, ცურვასა და მძლეოსნობაში შემოღებული ოთხწლიანი დისკვალიფიკაციები ველარ ესადაგება თანამედროვე იურიდიულ სისტემებს, ვინაიდან საკმარისია ამგვარად დასჯილმა პროფესიონალმა ათლეტმა სასამართლოში უჩივლოს სპორტულ ორგანიზაციას, რომ საქმეს ნაღდად მოიგებს, რაკილა სასამართლო ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას უთუოდ მიიჩნევს შრომის უფლების შელახვად. ამგვარი სასამართლოებისა და სპორტსმენთა გამარჯვების უკვე მრავალი შემთხვევა აღნუსხულა.

სასამართლოების ზღურბლი უკვე აუტალახებია უბედურ გერმანელ ძალოსანს, გვარად შმიტდს. ამ ექს-გდრ-ელს თურმე სტეროიდებით ორი წლის მანძილზე კვებავდნენ, თანა-ეფექტი კი არ განუმარტავთ. ჰოდა, სპორტსმენს ორივე სარძევე ჯირკვლის კიბო გაუჩნდა, რის გამოც მკერდი მოკვეთეს.

შტიდტი კარგა ხანია ჩივის სასამართლოში და ფიზიკური და მორალური ზარალის საკომპენსაციოდ 10 ათას დოლარს (??) ითხოვს, მართლმსაჯულება კი დემაგოგიურად პასუხობს, გფრ-ისა და გდრ-ის გაერთიანების ხელშეკრულებაში ცხადად არა სწერია, რომ ახალ ფედერაციულ ხელისუფლებას ეკისრება გდრ-ყოფილის პასუხისმგებლობაო.

შმიდტზე ოდნავ უკეთესად ჰქონია საქმე ამერიკელ აფროსან კევინ ჰოლს. მას ორივე სათესლის კიბო გასჩენია, რის გამოც დაუსაჰურისებიათ. მიუხედავად ამ უბედურებისა, ჰოლს ატლანტაში ასპარეზობა მაინცა სურს და კიდეც ემზადება, მაგრამ კიდევ ერთი პრობლემა აწუხებს: ნაოპერაციევს სარეაბილიტაციო პერიოდში დაენიშნა სტეროიდები, რომელთა მიღებაც დოპინგის წესების აშკარა დარღვევაა.

ჰოლს სხვა აფროსნები გამოქომაგებიან. მათ სოკ-ის სასახლეზე შეუთხზავთ არზა, რომელშიც ამტკიცებენ, რომ ეს შემთხვევა განსაკუთრებულია და გამონაკლისს იმსახურებს, თუმც სოკ-ის პასუხიც იოლი გამოსაცნობია: თუ სპორტსმენი უწამლოდ ვერ ასპარეზობს, მაშ ხეიბარი ყოფილა, ასეთთათვის კი ატლანტაშივე მოეწყობა საგანგებო ოლიმპიადაო.

დასასრულ, ჩინელებზეც, რომლებიც შემოსწყრომიან წყალჯომარდობის საერთაშორისო ფედერაციას (ფინა), აქაო და ამერიკელი ფოში და ავსტრალიელი რაილი რად შეიწყნარეთ, თუ იმავე დარღვევების გამო შარშან შვიდი ჩვენიანი ორორი წლით ჩამოაშორეთ ასპარეზსაო.

რეზო ნემსაძე

## წინა კვირის ჩოგბურთი

მონიკა სელეშს ეშინია შტეფი გრაფისა. როგორც კი ინდიან-ველზის (აშშ) ქრის ევერტის თასის ორგანიზატორებმა ტერფნაოპერაციებ შტეფის ვაილდ-ქარდი აახლეს, მონიკამ ბეჭის ტრავმა მოიმიზეზა და ტურნირში მონაწილეობას თავი აარიდა.

შეჯიბრი უჩვეულო დღეს — პარასკევს დაიწყო. სელეშის გარდა არ თამაშობენ დაშავებული გაბრიელა საბატინი და ჭირისუფალი ანკე ჰუბერი.

გრაფმა შაბათს, პირველ წრეში 6:0, 6:1 დაამარცხა 16 წლის შვედი ქრისთინ ტრისკე. შტეფის მერე თქვა, კორტზე რომ გავდიოდი, გამახსენდა, 16 წლისას რარიგ მეშინოდა ტრეისი ოსტინთან შეხვედრისაო, მაგრამ შვედი გოგო მაინც არ დამინდიაო.

იმავე დღეს ჯენიფერ კაპრიატიმ ერთ საათში დაამარცხა იტალიელი რიტა გრანდი, მომავალი კაპრიატი — ხანგი ვინუს ვილიამსი კი ფრანგმა ჟული ალარდეკიუეიმ 6:2, 6:4 სძლია.

კვირას გორან ივანიშევიჩმა (ხორვატია) წელს უკვე მეოთხე ტიტული მოიგო: როტერდამში, „მსოფლიოს ჭერქვეშა პირველობის" ფინალში 6:4, 3:6, 6:3 დაამარცხა რუსი ევგენი კაფელნიკოვი. გორანმა ფინალში 18 ეისი გააჩერხა, მთელს ტურნირში 99 დაუგროვდა, წლის დაწყებიდან კი — 536. ერთი სიტყვით, ივანიშევიჩი მსოფლიო რეკორდს უმიზნებს.



ეისების კარუზო — ფიცხი გორან ივანიშევიჩი

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შაბათს, ივანიშევიჩ-გიიომ რაუქსის (საფრანგეთი) ნახევარფინალში, ხორვატმა 55 წუთში 6:4, 6:4 რომ მოიგო, ხალხი სანაძლეოებს დებდა, გორანი გეიმის მოსაგებ ოთხივე ქულას უშუალოდ მოწოდებით მოიპოვებდა თუ ვერა.

მეორე ნახევარფინალში კაფელნიკოვმა დაამარცხა თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი), ვისაც მეოთხედფინალში უთამაშებლად დანებდა პიტ სამპრასი (აშშ), ვისაც მერვედფინალში შვეიცარიელი იაკოვ ჰლასეკის 6:7, 6:4, 6:4 ძლევა კოჭის ტკენად დაუჯდა. ივანიშევიჩმა (2) მეოთხედფინალში 7:5, 6:2 მოუგო მარტინ დამს (ჩეხეთი), კაფელნიკოვმა (3) — სამ ხელში სედრიკ პიოლინს (საფრანგეთი), შვეიცარიელი მარკ როსე (4) კი 6:7, 4:6 დამარცხდა რაუქსთან.

## ერაყულ-ყალმუხური გამბიტი

სამი თვეა, ყალმუხი მულტი-მილიონერი კირსან ილუმჟინოვი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტია, მაგრამ თამამი და უცნაური სვლებით უკვე გადარია მსოფლიო.

ბოლო კირსანული სენსაცია 7 მარტს გამოქვეყნდა: პრეზიდენტმა არც აცია, არც აცხელა და ფიდე-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენი მატჩი, წელს ივნისში რომ უნდა დაიწყოს, დანიშნა ერაყის დედაქალაქ ბაღდადში. იქ ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ რუსი ანატოლი კარპოვი (ჩემპიონი) და ყირიმელი თათრის ნაშიერი, გაამერიკელებული ვუნდერკინდი გატა კამსკი (პრეტენდენტი).

მატჩი თავიდან მონრეალში (კანადა) იყო დანიშნული, მაგრამ ორგანიზატორებს კირსანისათვის ფინანსური გარანტიები ვერ მიუციათ. სამაგიეროდ, უეოჩალია ცივილიზებული სამყაროს მიერ შერისხულ სადამ ჰუსეინს, ეკონომიკური და კულტურული ბლოკადის გარღვევას რომ ლამობს, და საპრიზო ფონდად ორი მილიონი ამერიკული დოლარი აღუთქვამს.

მატჩის ბაღდადში გამართვა მაინც საეჭვოა. საქმე ისაა, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის მოქალაქეს ერაყში არ გაუშვებს. ამ შემთხვევისათვის კირსანს უკვე დაუთადარიგებია მოსკოვი და... ბაქო, საიდანაც ჩემპიონთა ჩემპიონმა, მაგრამ ფიდესთან დაუბრებულმა გარი კასპაროვმა სომეხთა რბევისას თავის დროზე სულზე გამოასწრო.

## აქტიური, იქტიური და ასე შემდგომ და მისთანანი

**მძლეოსნობა** 29 თებერვალს მელბურნში გაიხსნა იააფ-ის XII სეზონი, ხუთივე კონტინენტის შეჯიბრებებს რომ მოიცავს. პირველსავე სტარტზე დამარცხდა ვაჟთა შარშანდელი გამარჯვებული, 3 000 მეტრზე წინაღობებით რბენის მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი, კენიელი მოუზეს კიპტანუი, ვისაცა და კიდევ მის ორ თანამემამულეს — ვილიამ ტანუისა და დევიდ კიბეტს 1 500 მეტრზე რბენაში აჯობა 19 წლის ავსტრალიელმა სტუდენტმა პოლ კლირიმ.

**კალათბურთი** „ფინიქს სანზის" ვარსკვლავი ჩარლზ ბარქლი ეროვნულმა ასოციაციამ (ნბა) 7 500 დოლარით დააჯარიმა. წინა კვირას, 3 მარტს ფინიქსმა 125:114 მოუგო „დალას მავერიქსს", ბარქლიმ კი მსაჯებს გული გაუწყალა, ამდენ საჯარიმო ტყორცნას რატომ ნიშნავთო.

**ცურვა** დურბანში (სამხრეთი აფრიკა), იქაურმა 21 წლის მოცურავე ქალმა პეინსმა ბრასით 100 მეტრზე ცურვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მისი შედეგი 1.07,46 წამის მეოთხედითა სჯობს ჯერ დოპინგზე გამოჭერილი, მერე კი შეწყალებული ავსტრალიელი სამანთა რაილის წლინახევრის წინანდელ რეკორდს. პეინსი ნებრასკას უნივერსიტეტის (აშშ) აღზრდილია.

**თხილამურები** სწრაფდაშვების მსოფლიო თასი მოიგეს პიკაბო სთრითმა (აშშ) და ლუკ ალფონმა (საფრანგეთი), ჯამური მსოფლიო თასი კი — კატია ზაიცინგერმა (გერმანია) და ლასე კიუსმა (ნორვეგია). სთრითმა შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა, დანარჩენებმა კი პირველად გაიმარჯვეს. ზაიცინგერამდე გერმანელებს წინა ჯერზე 20 წლის წინ მოეგოთ ესოდენ საპატიო ტიტული.

**პოლიტიკა** ატლანტის ოლიმპიადის ორგკომიტეტის თავკაცმა ბილი პეინმა ისმინა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) რჩევა და თამაშებზე დასასწრებლად ოფიციალურად აღარ მიიწვევს პოლიტიკურ ლიდერებს, მათ შორის ტაივანელ ლი დონ ხვეის. საქმე ისაა, რომ დედა-ჩინეთი ცუდი თვალით უყურებს განდგომილ კუნძულსა და ყველა იმასაც, ვინც ტაივანსა სცნობს; ამასთან, ოლიმპიადის ბოიკოტითაც იმუქრება. სოკ-ის საგანგებო წესები რომ არა, ტაივანს თამაშებზე არც დაუშვებდნენ. მათი წყალობით ფაქტიურად დამოუკიდებელი ქვეყანა „ჩინეთის ტაიპეიდაა" მონათლული, რასაც ჩინეთი ჯერჯერობით იფერებს.

**ლიგის რაგბი** მას აქეთ, რაც ავსტრალიის ლიგამ (არლ) სასამართლოს დააყადაღებინა რუპერტ მერდოქის მიერ შექმნილი მეამბოხე სუპერ-ლიგა, ამან არლ-ს ძმურად შესთავაზა, წლევანდელ სეზონზე ახლავე უარს ვიტყვი და ამბოხით მოყენებულ ზარალსაც გიზღავთო, მაგრამ არლ-მა გარიგება შორს დაიჭირა, ვინაიდან სასამართლოს მეშვეობით სუპერ-ლიგის განადგურების იმედი აქვს.

**ავტო-რალი** შოტლანდიელმა მსოფლიო ჩემპიონმა მაკრეიმ, „სუბარუთი" რომ ასპარეზობს, ხუთშაბათს გაიმარჯვა თაილანდის რალში. მან 31 წამით ჩამორჩა შვედი თანაგუნდელი კენეტ ერიქსონი.

**სქვოში** ავსტრალიელ ენთონი პილს, ვინაც უმსგავსოდ მოიქცა შარშან, კაიროში გამართულ გუნდურ მსოფლიო პირველობაზე, მისმავე ქვეყანამ ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა: პილი ნაკრებში ველარ ითამაშებს 2001 წლამდე. მანამდე ჭირვეული მოთამაშე ორი წლით დასაჯა მსოფლიო ფედერაციამ, ხოლო სამი თვითა და 2000 დოლარით — პროფესიონალთა საძმომ. პილს ოთხი კვირა მიეცა განაჩენის გასასაჩივრებლად.

**კრიკეტი** შაბათს, VI მსოფლიო მეოთხედფინალებში, შრი-ლანკამ 5 ბჭითა და 9 წყებით დაამარცხა ინგლისი, ინდოეთმა კი 39 გარბენით აჯობა პაკისტანს. ეს მატჩი ბანგალორში გაიმართა და 55 ათასი კაცი დაესწრო. ინდოეთის კაპიტანმა მუჰამედ აჟარუდინმა მოიგო წილისყრა, თავისიანებს ზოლზე შეუძლვა და 50 წყებაში 2 ბჭის სანაცვლოდ 287 გარბენით მოაგროვებინა (ნავჯოთ სითუ 93 (115 ბურთით), ეიჯი ჯადაჯა 45 (26)). პაკისტანმა საპასუხო შესვლა მაგრად დაიწყო — საიდ ანვარისა და ამიზ საპელის მეცადინეობით მე-11 წყებისას ერთი ბჭის სანაცვლოდ 84-ს იყო, მაგრამ მერე ზოლი თანდათან გაფუჭდა და პაკისტანის მონაგარი 9 ბჭის სანაცვლოდ 239 გარბენილა გამოვიდა. ფაიზალ-აბადში ლანკელთა ტრიუმფი დიდად განაპირობა ტაფელოსანმა სანათ ჯაისურიამ, ვინაც 44 ბურთით 82 გარბენი გააჩერხა. შრი-ლანკა და ინდოეთი ნახევარფინალში ერთმანეთს ხვალ, კალკუტაში შეეჯიბრებიან.

**კრივი** შაბათს ორგანიზაციის (ვბო) ზესაშუალონონოსანმა ჩემპიონმა სთივ ქოლინზმა შინ, XI რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ინგლისელი მოცილე ნევილ ბრაუნი. სწორედ ამ ქოლინზთან შებმაზე ოცნებობს სამხრეთაფრიქელი ვეტერანი შუგარ ბოი მალინგა, ვინაც ერთი კვირით ადრე საბჭოს (ვბკ) სარტყელი ბრიტანელ ნაიჯენ ბენს წაართვა.

**გოლფი** ევროპის ტურზე ხუთშაბათს დუბაიში იწყება „უდაბნოს კლასიკური", მაგრამ ვერც მასში ითამაშებს 30 წლის ესპანელი ბასკი ხოზე-მარია ოლასაბალი, ვინაც ვერა და ვერ მოირჩინა ტერფი, რის გამოც შემოდგომაზე „რაიდერის თასიც" (ევროპა — აშშ მატჩი) და „ვოლვო მასტერსიც" (ევროპული ტურის ფინალი) გაუცდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის, დასავლეთი ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკის მოვლის შემდეგ ტური ბოლო ორი კვირა ხმელთაშუაზღვისპირეთში იყო დაბანაკებული. წინისწინა კვირაში (29.02-3.03) ტარაგონაში, კატალონიის ღია პირველობაზე ისეთი ქარი ქროდა, რომ მოლზე დადებულ ბურთს 40 მეტრზე მიაფრენდა. ოთხის მაგიერ ორი წრის გამართვალა მოხერხდა, მაგრამ თუმც შეჯიბრი განახევრდა, გამარჯვებულს შოტლანდიელ პოლ ლორის ჰონორარი მაინც სრულიად ერგო. ამან 50 ათასი გირვანქა ჩაიჯიბა. იმავე კვირაში ამერიკის ტურზე, მაიამაში „დიურალ-რაიდერ ოუპენი" მოიგო მსოფლიოს პირველმა მეგოლფემ, ავსტრალიელმა „თეთრმა ზვიგენმა გრეგ ნორმანმა, წინა კვირაში (7-10.03) კი ევროპის ტურის პროგრამით რაბათში გამართული მაროკოს ღია პირველობა — შვედმა პეტერ პედ[illegible]ომმა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29